პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 44-ე წელი № 215 (12727) | პარასკევი, 13 სექტემბერი, 1963 წ. | ფასი 2 კაპ.

ნ. ს. ხრუშჩოვმა დაათვალიერა ლობიოს საკრეფი მანქანების ნიმუშები

11 სექტემბერს ამხანაგი **ნ. ს. ხრუშჩოვი** ეწვია არაშავმიწანიადაგიანი ზოლის ცენტრალური რაიონების სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-საკვლევ ინსტიტუტს მოსკოვის ოლქის სადგურ ნემჩინოვკაში. ნ. ს. ხრუშჩოვთან ერთად აქ ჩამოვიდნენ ამხანაგები **გ. ი. ვორონოვი, ნ. ვ. პოდგორნი, დ. ს. პოლიანსკი, ლ. ნ. ეფრემოვი, ვ. ი. პოლიაკოვი.** აქ პარტიისა და მთავრობის ხელმძღვანელებმა დაათვალიერეს ლობიოს საკრეფი მანქანების ახალი ნიმუშები. ამ მანქანების კონსტრუქციებისა და მუშაობის შესახებ განმარტებას იძლეოდნენ სრულიად საკავშირო გაერთიანება „სოფლტექნიკის“ თავმჯდომარე **ა. ა. ეფუევსკი,** კონსტრუქტორები **ი. ს. ივანოვი, ე. ი. ხოხლოვი, ა. ი. დავიდოვი.**

წარმოდგენილი იყო სამი მანქანა. მათი მწარმოებლობაა, როგორც კონსტრუქტორებმა განაცხადეს, 1-1,5 ჰექტარი საათში. სრულიად საკავშირო სასოფლო-სამეურნეო მანქანათმშენებლობის ინსტიტუტის კონსტრუქციის ლობიოს საკრეფი-სარჩევი ოთხმწკრივა მანქანა სამი გავლით, როცა მაქო მუშაობს, ქმნის 12-მწკრივიან ღვარეულებს. ლუბერცის უხტომსკის სახელობის ქარხნის კონსტრუქციის როტორული ოთხმწკრივა სათიბელა უკეთდება ტრაქტორ „ბელარუსს“ და ღერეებს ჭრის 2-4 სანტიმეტრ სიღრმეზე ოთხი მბრუნავი დისკოს დახმარებით. იგი აგროვებს და ღვარეულებად აწყობს ღერეებს. იმავე ლუბერცის ქარხნის კონსტრუქციის ლობიოს საკრეფ მანქანას დისკოების ნაცვლად აქვს ბრტყელსაჭრელი დანები. იგი ისევე აწყობს ღვარეულებს, როგორც როტორული სათიბელა.

ლობიოს სასინჯი აღების დროს მანქანებმა კარგად იმუშავეს. ამხანაგმა ნ. ს. ხრუშჩოვმა კმაყოფილებით აღნიშნა, რომ ამ მანქანების შექმნისა და გამოყენების შემდეგ ლობიო აღარ იქნება ბოსტნეული კულტურა, იგი მინდვრის კულტურა გახდება. ნ. ს. ხრუშჩოვმა მადლობა გადაუხადა ინჟინრებს, კონსტრუქტორებსა და მუშებს იმისათვის, რომ მათ კარგად იმუშავეს და სწრაფად შექმნეს კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობებისათვის საჭირო მანქანა, რომლებსაც ლობიო მოჰყავთ.

აქვე ამხანაგი ნ. ს. ხრუშჩოვი გაეცნო სამარცვლე პარკოსანი კულტურების სახარისხებელი მანქანის მუშაობას, რომელიც შექმნა არაშავმიწანიადაგიანი ზოლის ცენტრალური რაიონების სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის ინჟინერთა კოლექტივმა.

შემდეგ პარტიისა და მთავრობის ხელმძღვანელები გაეცნენ ლობიოს ჯიშებს, რომელიც ინსტიტუტის მინდვრებზე მოჰყავთ, აგრეთვე სიმინდის ჯიშებსა და ჰიბრიდებს, რომლებიც ინსტიტუტის სელექციონერებმა გამოიყვანეს. ინსტიტუტის დირექტორმა ე. ტ. ვარენიცამ პარტიისა და მთავრობის ხელმძღვანელებს ერთ-ერთ ნაკვეთზე უჩვენა სიმინდის სხვადასხვა ჰიბრიდი, მათ შორის ჰიბრიდი „ნემჩინოვური-2“, რომელსაც მოკლე ვეგეტაციის პერიოდი აქვს.

ამხანაგმა ნ. ს. ხრუშჩოვმა შენიშნა, რომ სიმინდის ახალი ჯიშებისა და ჰიბრიდების გამოყვანა, რომლებსაც მოკლე ვეგეტაციის პერიოდი აქვთ, დიდ შესაძლებლობებს იძლევა სიმინდის თესვა-მოყვანისათვის და ჭყინტლი და ბაზი და სავსებით მწიფე ტაროების მისაღებად მოსკოვისა და სხვა ოლქების პირობებში, რასაც განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს პირუტყვის საკვებით უზრუნველსაყოფად.

ამხანაგმა ნ. ს. ხრუშჩოვმა აღნიშნა ჭყინტლი და ბაზი ტაროების, როგორც სასურსათო პროდუქტის, დიდი მნიშვნელობა და მოსკოვის ოლქის პარტიულ ორგანიზაციებს ურჩია დაიწყონ სიმინდის, როგორც სასურსათო პროდუქტის წარმოება, ისე, თქვა მან, ძალიან ძვირფასი პროდუქტია. ხალხი სიამოვნებით ყიდულობს მას.

სასოფლო-სამეურნეო მანქანების დათვალიერებაში მონაწილეობა მიიღეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის მანქანათმშენებლობის განყოფილების გამგემ ვ. ს. ფროლოვმა, სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან არსებული ავტო-სატრაქტორო და სასოფლო-სამეურნეო მანქანათმშენებლობის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარემ ნ. ი. სტროკინმა, სკკპ ცენტრალური კომიტეტის სოფლის მეურნეობის განყოფილების გამგის მოადგილემ მ. პ. ნოვიკოვმა, პარტიის მოსკოვის სასოფლო საოლქო კომიტეტის პირველმა მდივანმა ვ. ი. კოლოტოპმა, მოსკოვის სასოფლო საოლქო აღმასკომის თავმჯდომარემ ნ. ტ. კოზლოვმა და სხვა ამხანაგებმა. (საკდესი).

ეროვნული საჩუქრები სამშობლოს!

დაზოგილია 35 ათასი მანეთი

წნორის მექანიკურმა ქარხანამ საერთო და სასაქონლო პროდუქციის გამოშვების 8 თვის გეგმა 105 პროცენტით შეასრულა და გეგმის გადამეტებით 30 ათასი მანეთის პროდუქცია მისცა ქვეყანას. შრომის ნაყოფიერების ზრდამ გეგმის მაჩვენებელს სამი პროცენტით გადააჭარბა. აქ დიდი ყურადღება ექცევა ნაკლები დანახარჯებით მეტი პროდუქციის შექმნის საკითხს. განვლილ პერიოდში ერთი მანეთის პროდუქციის შექმნაზე გეგმით ნავარაუდევი 93,5 კაპიკის ნაცვლად 92,5 კაპიკი დახარჯეს. ამ გზით მიღებულია 35.000 მანეთის ეკონომია.

ყრილობის აღსანიშნავ სოციალისტურ შეჯიბრებაში ქარხნის ბევრი ბრიგადა დაწინაურდა, ყველას კი ა. ჯანყარაშვილის ზეინკალთა ბრიგადამ გაუსწრო, რომელმაც 8 თვის საწარმოო დავალება 125 პროცენტით გაანაღდა. (საკ. კორ.).

ვალდებულება გაანაღდეს

გუშინ „კომუნისტის“ რედაქციის თანამშრომელთან საუბარში წყალტუბოს საწარმოო სამმართველოს პარტიული კომიტეტის მდივანმა ამხ. ო. აბესაძემ განაცხადა: როცა წყალტუბოელმა მეჩაიეებმა ფოთლის კრეფის წლიური გეგმა შეასრულეს, ვალდებულება იკისრეს სეზონის დამთავრებამდე გეგმის ზევით მოკრიფათ 1.300 ტონა „მწვანე ოქრო“. ფოთლის ყოველგვარ ამინდში და განუწყვეტელი კრეფის შედეგად ნაკისრი ვალდებულება სასახელოდ გავანაღდეთ, სულ მოვკრიფეთ 7.673 ტონა ჩაის ნედლეული ნაცვლად წლიური გეგმით გათვალისწინებული 6.300 ტონისა.

წყალტუბოელები ამას როდი სჯერდებიან. პლანტაციაში ფოთოლი არის. ამიტომ კვლავ იკისრეს ვალდებულება სეზონის დამთავრებამდე წლიური გეგმის ზევით კიდევ მოკრიფონ 400 ტონამდე ჩაის ფოთოლი. გუშინ ვალდებულების ანგარიშში მოიკრიფა 33 ტონა.

სასახელოდ მუშაობენ სოფლების ორპირის, კუსლების, ახალსოფლის, ცხუნაურის და სხვა კოლმეურნეობები. ოლია უშვერიძემ სოფელ გუმბრის კოლმეურნეობაში 0,5 ჰექტარზე მოკრიფა 7.200 კილოგრამი ნაცვლად ვალდებულებით ნაკისრი 6 ათასი კილოგრამისა და წლიური გეგმით გათვალისწინებული 2.500 კილოგრამისა, ხოლო სოფელ ქვილიშორის კოლმეურნეობის მეჩაიემ ქსენია კუხალეიშვილმა 7 ათასი კილოგრამი.

პროდუქცია გეგმის გადამეტებით

სიღნაღის სამკერვალო ფაბრიკამ საერთო პროდუქციის გამოშვების 8 თვის გეგმა 117 პროცენტით შეასრულა და გეგმის გადამეტებით 127 ათასი მანეთის პროდუქცია გამოუშვა. გადაჭარბებით შესრულდა შრომის ნაყოფიერების ზრდის დავალებაც. განვლილ პერიოდში ერთი მანეთის ღირებულების პროდუქციის შექმნაზე დანახარჯი შემცირებულია სამ კაპიკამდე.

სოციალისტური შეჯიბრებით აღებული ვალდებულების შესრულებისათვის ბრძოლაში თავი ისახელა ზ. ხმალაძის მკერავთა ბრიგადამ, რომელმაც 8 თვის საწარმოო დავალება 137 პროცენტით გაანაღდა და გეგმის გადამეტებით რამდენიმე ათასი მანეთის პროდუქცია გამოუშვა. (საკ. კორ.).

მანქანათმშენებელთა წარმატება

თბილისის ს. ორჯონიკიძის სახელობის მანქანათმშენებლო ქარხანამ საერთო პროდუქციის გამოშვების 8 თვის დავალება 103,9 პროცენტით შეასრულა, სასაქონლო პროდუქციისა — 103,7 პროცენტით. შრომის ნაყოფიერების ზრდამ ოთხი პროცენტით გადააჭარბა გეგმით ნავარაუდევს.

ზოგიერთი პროდუქციის გამოშვების წლიური გეგმა უკვე შესრულებულია. ყურძნის გადამმუშავებელი მექანიკური წნეხი წლიური გეგმით გათვალისწინებული 150 ცალის ნაცვლად გამოშვებულია 153 ცალი, საათში 20 ტონა ყურძნის გადამმუშავებელი უწყვეტი „ვპლ-10“ ტიპის ხაზის გამოშვების წლიური გეგმა ჯერ კიდევ სექტემბრის პირველ რიცხვებში იქნა გახაღღებული. (საკ. კორ.).

რთველისათვის მზად ხართ, მეევენახეებო?

ჩვენი დოვლათის წყარო

ჩვენთან მევენახეობა ერთ-ერთი წამყვანი დარგია. საწარმოო სამმართველოში შემავალ კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში ვენახებს 8.837 ჰექტარი უჭირავს. აქედან 4.448 ჰექტარი სრულმოსავლიანია.

შემოდგომა კარს მოგვადგა. წლევანდელმა ამინდებმა ვაზი ძლიერ დააზიანა. 2.880 ჰექტარი ფართობი თოთქმის 40 პროცენტით განადგურებულია. მიუხედავად ამისა, წელს გურჯაანელებმა სახელმწიფოს უნდა მიჰყიდონ 35 ათასი ტონა ყურძენი.

მევენახეთა სასახელოდ უნდა ითქვას, რომ წელს მოვლა-პატრონობა არ

საუბარი გურჯაანის საწარმოო სამმართველოს პარტიული კომიტეტის მდივანთან ამხ. **გ. აზაურაშვილთან.**

□

მოაკლეს ზვრებს, აგროვადებში შეასრულეს ნიადაგის დამუშავება, გასხვლა, მწვანე ოპერაციები, ბევრგან ორჯერ-სამჯერ დაამტვრეს მინერალური და ორგანული სასუქებით. ამასთან დამატებით გამოკვებეს ნიადაგი, არც წყალი დაუკლიათ, და არც ყოველდღიური ზრუნვა.

ვენახებს სანიმუშოდ უვლიდნენ შრომის საბჭოთა მეურნეობაში. შედეგიც კარგია. აქ ყურძნის მოსავლიანობის გეგმას აუცილებლად შეასრულებენ. ბრიგადირ მ. ზარდიაშვილის ზვარში შესვლა გესიამოვნებათ, 28 ჰექტარი ვენახი ისეა მოვლილი, რომ საშუალოდ ჰექტარზე 75 ცენტნერზე მეტ ყურძენს მიიღებენ ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 60 ცენტნერისა. ყურძნის ასევე კარგ მოსავალს მიიღებენ ვაზისუბნის, კალაურის, ჩუმლაყისა და სხვა სოფლების კოლმეურნეობებში.

ამჟამად რთვლისათვის ვემზადებით. ღვინის ქარხნებში წესრიგში მოყვანილია ყურძნის გადასამუშავებელი მანქანები, ხის კასრები, რეცხავენ ქვევრებს და სხვ. ქარხნებში ტარაჭურჭელი სრულ მზადყოფნაშია. შრომის საბჭოთა მეურნეობაში დამატებით შეიძინეს გოდრები, წესრიგში მოიყვანეს ავტომანქანები. ასევე სანიმუშოდ მოემზადნენ ყურძნის მოსავლის უდანაკარგოდ ასაღებად ვაზისუბნის, ჩუმლაყისა და სხვა სოფლების კოლმეურნეობებში.

ბეჯითი შრომით

— **შეიქმნათ** პირუტყვისათვის საკვების ორი წლის მარაგი. — ასეთი დევიზით მუშაობენ საჩხერის საწარმოო სამმართველოში შემავალი კოლმეურნეობების წევრები და საბჭოთა მეურნეობების მუშები. დაწინაურდა სოფელ ჩიხის კოლმეურნეობა. აქ ყველაფერს აკეთებენ იმისათვის, რომ პირუტყვისათვის მოიმარაგონ საკვების სულ მცირე ორი წლის მარაგი.

სოფელ კორბოულის კოლმეურნეობამ წლიური გეგმის ზეკით უკვე დაამზადა 150 ტონაზე მეტი თივა, ხოლო ზოდის კოლმეურნეობამ 54 ტონის ნაცვლად 190 ტონა. ასევე დიდი გადაჭარბებით შეასრულეს თივის აღებისა და დამზადების წლიური გეგმა სოფლების ტყემლოვანის, წირქვალის, სხვეტორის, ჭორვილისა და სხვა კოლმეურნეობებმა.

რაიონში წლიური გეგმით უნდა დაემზადებინათ 1.034 ტონა თივა, ფაქტიურად აიღეს და დაამზადეს 2.710 ტონაზე მეტი. ამჟამად ყოველდღიურად გეგმის ზეკით იღებენ საკვებს.

ემზადებიან თესვისათვის

გარდაბნის სპეციალიზებული ტრესტის საბჭოთა მეურნეობები მოსავლის აღება-დაბინავებასთან ერთად წარმატებით ემზადებიან საშემოდგომო თესვისათვის. ტრაქტორები უკვე გავიდნენ მინდვრად და ამზადებენ ნიადაგს 17.595 ჰექტარზე თავთავიანი მარცვლეული კულტურების დასათესად.

სოციალისტურ შეჯიბრებაში წინ მიდის ნორიოს საბჭოთა მეურნეობა. აქ საშემოდგომოდ მოსახნავია 700 ჰექტარი. ეს სამუშაო ამ დღეებში შესრულდება. მექანიზატორები გ. მაჭარაშვილი, გ. ხორიაშვილი და სხვები ხვნის ყოველდღიურ ნორმას ორმაგად ასრულებენ.

სწრაფად ხნავენ ახალ სამეორის მეორეეტაპებლოსტნეობის საბჭოთა მეურნეობაში. ტრაქტორისტებმა ნ. ბექაურმა და გ. სვანიძემ საშემოდგომოდ უკვე მოხნეს 900-მდე ჰექტარი.

ცოდნა—ხალხს!

მოსკოვი, 11 სექტემბერი. (საკდესი). დღეს დამთავრდა სრულიად საკავშირო საზოგადოება „ცოდნის“ გამგეობის პლენუმი, რომელიც ორ დღეს გრძელდებოდა. მის მუშაობაში მონაწილეობას იღებდა 1.200-მდე ცნობილი მეცნიერი, საზოგადო და სახელმწიფო მოღვაწე, „ცოდნის“ ადგილობრივი ორგანიზაციების, ქარხნებისა და კოლმეურნეობების წარმომადგენლები.

პლენუმის მონაწილეებმა განიხილეს ლექციური პროპაგანდის შემდგომი აღმავლობის ამოცანები სკკპ ცენტრალური კომიტეტის ივნისის პლენუმის გადაწყვეტილებათა მიხედვით. განხილულ საკითხზე მიღებულია დადგენილება.

პლენუმზე სიტყვა წარმოთქვა სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანმა **ლ. თ. ილიჩოვმა.**

სრულიად საკავშირო საზოგადოება „ცოდნის“ გამგეობის პლენუმმა განიხილა ორგანიზაციული საკითხები. გადაწყდა 1964 წლის მაისში მოსკოვში მოიწვიონ სრულიად საკავშირო საზოგადოება „ცოდნის“ III-ე ყრილობა.

პლენუმმა დააკმაყოფილა აკადემიკოს **ნ. ნ. სემიონოვის** თხოვნა სრულიად საკავშირო საზოგადოება „ცოდნის“ გამგეობის თავმჯდომარის მოვალეობისაგან მისი განთავისუფლების შესახებ.

პლენუმმა სრულიად აკავშირო საზოგადოება „ცოდნის“ გამგეობის თავმჯდომარედ აირჩია ცნობილი საბჭოთა მეცნიერი და საზოგადო მოღვაწე, სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი აკადემიკოსი **ვ. ი. კირილინი.**

სრულიად საკავშირო საზოგადოება „ცოდნის“ გამგეობის თავმჯდომარის მოადგილედ არჩეულია სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი **ვ. მ. ხვოსტოვი.**

ბრძანებულება

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

ამხ. ვ. დ. კობახიძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

დაბადების სამოცი წლისთავთან დაკავშირებით, რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის დარგში ნაყოფიერი მუშაობისა და დიდი დამსახურებისათვის ამხანაგი ვლადიმერ დიმიტრის-ძე **კობახიძე** დაჯილდოდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე

ქ. თბილისი, 1963 წლის 12 სექტემბერი.

მეცნიერ გეოფიზიკოსთა ახალი გეგმები

მოსკოვი, 11 სექტემბერი. (საკდესი). გამოჩენილ საბჭოთა გეოფიზიკოსთა დიდი ჯგუფი ამერიკის შეერთებული შტატებიდან ჩამოვიდა. საბჭოთა მეცნიერები მონაწილეობდნენ საერთაშორისო გეოფიზიკური წლის შედეგებისადმი მიძღვნილ საერთაშორისო სიმპოზიუმში და გეოფიზიკისა და გეოდეზიის საერთაშორისო კავშირის XIII გენერალური ასამბლეის მუშაობაში.

ამ მგზავრობის შესახებ საკდესის კორესპონდენტს ესაუბრა საბჭოთა გეოფიზიკური კომიტეტის სწავლული მდივანი ნ. ვ. შებალინი.

სამი კვირა, რომელიც საზღვარგარეთელ კოლეგებთან გავატარეთ, თქვა ნ. ვ. შებალინმა, — გვარწმუნებს იმაში, რომ მთელი მსოფლიოს გეოფიზიკოსები ემზადებიან ფართო კვლევაძიებისათვის, რაც თავისი გაქანებით არ ჩამოუვარდება საერთაშორისო გეოფიზიკურ წელს.

ასამბლეაზე ცენტრალური ადგილი დაეთმო დედამიწის ზედა მანტიის პროექტს. თავიანთ გამოსვლებში მეცნიერები ამტკიცებენ, რომ დედამიწის ქერქქვეშა ფენა — ზედა მანტია, არ არის ერთგვაროვანი, რომ სწორედ ამ ფენასთან არის დაკავშირებული დედამიწის ქერქში მიმდინარე ისეთი ფრიად აქტიური პროცესები, როგორიც არის აქტიური ტექტონიკური ზონების განლაგება, მიწისძვრის წარმოშობა, სასარგებლო წიაღისეულის განლაგება.

გეოფიზიკისა და გეოდეზიის საერთაშორისო კავშირში შექმნილია ზედა მანტიის პროექტის კომიტეტი, რომლის თავმჯდომარედ არჩეულია სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი ვ. ვ. ბელოუსოვი. კომიტეტში 7 საბჭოთა მეცნიერი შევიდა, რომელთა შორის არიან: აკადემიკოსი ა. პ. ვინოგრადოვი, სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი ი. ვ. რიზნიჩენკო. ხოლო პროექტს, რომელიც უდევს საბჭოთა გეოფიზიკური კომიტეტის მიერ მომზადებული მასალები.

საყურადღებო შედეგებია მოპოვებული დედამიწის მეცნიერების სხვა დარგებშიც. მეცნიერებმა, მათ შორის საბჭოთა მეცნიერებმა, მიიღეს ახალი შედეგები დედამიწის მაგნიტოსფერის შესახებ. დადგენილია, რომ მაგნიტოსფერო იშლება ორ ნაწილად და მათი საზღვარი ძევს 3-4 ათას კილომეტრ სიმაღლეზე; სადაც შეინიშნება მაგნიტურ შეშფოთებათა მაქსიმალური სიჩქარეები.

საბჭოთა ოკეანოლოგებმა თავიანთ კოლეგებს გააცნეს წყნარი ოკეანის ფსკერის ახალი გეოლოგიური რუკა, რომელიც შეადგინა კოლექტივმა გ. ბ. უდინცევის ხელმძღვანელობით. ამ რუკამ მეცნიერთა დიდი ინტერესი გამოიწვია.

უდაოდ აქტუალურ პროექტთა რიცხვს უნდა მივაკუთვნოთ ასამბლეაზე განხილული „საერთაშორისო ჰიდროლოგიური ათწლეულის“ პროექტი, რომლის ამოცანაა გამთარკვიოს დედამიწის წყლის თანამედროვე რესურსები. შემუშავებულ იქნა აგრეთვე ცუნამის თავიდან აცილების საერთაშორისო ცენტრის მოწყობის დებულების საფუძვლები. ცუნამი ოკეანის გიგანტური ტალღებია, რომლებიც მიწისძვრის დროს წარმოიქმნება.

დასასრულ, თქვა ნ. ვ. შებალინმა, მინდა აღვნიშნო ის დიდი ინტერესი, რომელსაც ასამბლეის მონაწილეები იჩენდნენ საბჭოთა მეცნიერების მოხსენებებისადმი.

პოლიტიკური წიგნის დეკადა

მოსკოვი, 11 სექტემბერი. (საკდესი). მოსკოვში დაიწყო პოლიტიკური წიგნის პროპაგანდისა და გავრცელების დეკადა. იგი მოაწყვეს სახელმწიფო პოლიტიკურმა გამომცემლობამ, გამომცემლობა „მოსკოვსკი რაბოჩი“ და „მოსკნიგამ“.

დეკადის დროს დედაქალაქის მსხვილ საწარმოებში, პარკებში, მოედნებზე და ქალაქის ქუჩებში მოეწყობა პოლიტიკური წიგნის ბაზარი. იქ შესაძლებელი იქნება შეიძინონ ვ. ი. ლენინის ნაწარმოებნი, ახალი წიგნები კომუნისტურ მორალზე, ანტირელიგიური ლიტერატურა, სკკპ ცენტრალური კომიტეტის ივნისის პლენუმის გადაწყვეტილებათა მასალები. ყველას შეუძლია ხელი მოაწეროს „საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის“ ისტორიას 6 ტომად, რომელიც გამოვა 1963-1967 წლებში. წიგნი მდიდრულადაა გაფორმებული დოკუმენტური ფოტოსურათებით, ფერადი რეპროდუქციებით.

წიგნის პირველი ბაზარი მოაწყვეს კომბინატ „ტროიცკორეპინა მანუფაქტურის“ წიგნის მოყვარულებმა. დღეს კალინინის რაიონის კომკავშირელთა ინიციატივით პოლიტიკური წიგნის დიდი ბაზარი მოეწყო მ. ი. კალინინის ძეგლთან.

გენერალური ასამბლეის მე-18 სესიაზე

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ დაამტკიცა სსრ კავშირის დელეგაცია გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის XVIII სესიაზე, რომელიც 17 სექტემბრს გაიხსნება ნიუ-იორკში. დელეგაციის შემადგენლობაში არიან: **ა. ა. გრომიკო** (დელეგაციის მეთაური), **ვ. ს. სემიონოვი, ნ. ტ. ფედორენკო, მ. ა. მენშიკოვი, ს. ა. აზიმოვი** (დელეგაციის წევრები). დელეგაციის წევრთა მოადგილეებად დამტკიცებული არიან: **გ. პ. არკადიევი, ი. ნ. ზემსკოვი, კ. ვ. ნოვიკოვი, ბ. დ. მოროზოვი, ვ. გ. სოლოდოვნიკოვი.**

უკრაინის სსრ მინისტრთა საბჭომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის XVIII სესიაზე დანიშნა დელეგაცია შემდეგი შემადგენლობით: **ლ. თ. პალამარჩუკი** (დელეგაციის მეთაური), **ლ. ე. კიზია, ე. ი. ზგურსკაია, მ. დ. პოლიანიჩკო, ა. ა. ბოიკო** (დელეგაციის წევრები).

ბელორუსიის სსრ მინისტრთა საბჭომ დამტკიცა ბელორუსიის სსრ დელეგაცია გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის XVIII სესიაზე. დელეგაციის შემადგენლობაში არიან: **კ. ვ. კისელიოვი** (დელეგაციის მეთაური), **ბ. ე. ასტაპენკო, მ. ა. მინკოვიჩი, ი. პ. შამიაკინი, გ. ვ. ჩერნუშენკო** (დელეგაციის წევრები).

მეგობრობის, ძმობის ვითარებაში

ვარნა, 12 სექტემბერი. (საკდესი). აი უკვე ხუთი დღეა ბულგარეთში არიან საბჭოთა კავშირის გმირები კოსმონავტი მფრინავები ვ. ვ. ტერეშკოვა და ვ. ფ. ბიკოვსკი. საბჭოთა კოსმონავტებმა მონაწილეობა მიიღეს ბულგარელი ხალხის ეროვნული დღესასწაულის — გამარჯვების დღის გამო გამართულ ზეიმში. ისინი ეწვივნენ ბულგარეთის ლამაზ ქალაქებს ბლაგოევგრადს, პლოვდივს, ლეგენდარულ შიპკას, სურნელოვანი ვარდების ხეობას. ბულგარეთის უდიდეს ნავსადგურ ბურგასს, შავი ზღვის სანაპიროს მარგალიტს ვარნასა და რესპუბლიკის სხვა ქალაქებსა და სოფლებს.

ყოველი ოლქის საზღვარზე კოსმონავტებს გულითადად, პურ-მარილით ხვდებიან ადგილობრივი, პარტიული და საზოგადოებრივი ხელმძღვანელები, მშრომელთა წარმომადგენლები. გმირთა მოგზაურობის მთელ გზაზე, არის ეს დილით თუ გვიან საღამოს, მსოფლიოს პირველ კოსმონავტ ქალს ვ. ტერეშკოვასა და მის ვარსკვლაველ ძმას ვ. ბიკოვსკის აღტაცებით ხვდება ასეულ ათასობით ადამიანი. ისინი გამარჯვებას უსურვებენ დიდ საბჭოთა ხალხს, საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიასა და საბჭოთა მთავრობას, ხალხთა შორის მშვიდობასა და მეგობრობას.

„თოლიასა“ და „შევარდენის“ ტრიუმფალური მოგზაურობა მოძმე ბულგარეთში გრძელდება.

ძაღლობის გულთბილი სიტყვები

ბელინკი, 12 სექტემბერი. (საკდესი). აქ რამდენიმე დღის განმავლობაში სტუმრად იყო საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის დელეგაცია. დელეგაციის შემადგენლობაში იყვნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი **ვ. ნ. ტიტოვი** და ესტონეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მეორე მდივანი **ლ. ნ. ლენცმანი.** დელეგაცია ფინეთში ჩამოვიდა ფინეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მოწვევით, რათა მონაწილეობა მიეღო პარტიის 45 წლისთავის გამო გამართულ ზეიმში.

საბჭოთა დელეგაციის წევრები ჰელსინკის გარდა იყვნენ ტურკუში, ლაჰტისა და ჰეინოლაში, სადაც მონაწილეობა მიიღეს ადგილობრივი პარტიული ორგანიზაციების ღონისძიებებში ფინეთის კომპარტიის იუბილეს მოწყობასთან დაკავშირებით. დელეგაცია ეწვია რამდენიმე სამრეწველო საწარმოს, სადაც საბჭოთა წარმომადგენლებს გულთბილად მიესალმნენ მუშები. მათ ხაზგასმით აღნიშნეს საბჭოთა კავშირ-ფინეთის მეგობრობის დიდი მნიშვნელობა და მადლობა გადაუხადეს საბჭოთა დელეგაციას იმ წვლილისათვის, რომელიც საბჭოთა კავშირს, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით შეაქვს მთელ მსოფლიოში მშვიდობისა და უშიშროების განმტკიცების საქმეში.

დელეგაციის წევრები ვ. ნ. ტიტოვი და ლ. ნ. ლენცმანი მიიღო ფინეთის პარლამენტის თავმჯდომარემ კ. კლეემოლამ.

დღეს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის დელეგაცია სამშობლოში გაემგზავრა.

ავსტრიამ ხელი მოაწერა

ლონდონი, 12 სექტემბერი. (საკდესი). დღეს ლონდონში ავსტრიის ელჩმა დიდ ბრიტანეთში ხელი მოაწერა მოსკოვის ხელშეკრულებას ატომური იარაღის გამოცდის აკრძალვის შესახებ ატმოსფეროში, კოსმოსურ სივრცეში და წყალქვეშ.

იანოშ კადარი იუგოსლავიიდან გაემგზავრა

ბელგრადი, 12 სექტემბერი. (საკდესი). უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის რევოლუციური მუშურ-გლეხური მთავრობის თავმჯდომარე, უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი იანოშ კადარი დღეს იუგოსლავიიდან სამშობლოში გაემგზავრა, იუწყება იუგოსლავიის დეპეშათა სააგენტო.

კარაჯორჯევოში ი. კადარი და მისი თანმხლები ანტალა აპრო, შანდორ გაშპარი და კარი ერდეი გაიცალა იუგოსლავიის სოციალისტური ფედერაციული რესპუბლიკის პრეზიდენტმა ი. ბროზ ტიტომ.

თბილისის ს. მ. კიროვის სახელობის ჩარხსამშენებლო ქარხანა ჩვენს ქვეყანაში მძიმე ჩარხების გამომშვები მთავარი საწარმოო იქნება. ამჟამად ქარხნის ტერიტორიაზე მთავრდება მექანიკურ-საამწყობო საამქროს უზარმაზარი კორპუსის მშენებლობა. იგი აღჭურვილი იქნება უახლესი ტექნოლოგიური მოწყობილობით. ახალმა საამქრომ პირველი პროდუქციის გამოშვება დაიწყო. აქ მუშაობენ ისეთი ახალი ჩარხების გამოშვების ათვისებაზე, როგორიც არის ტტ-97 მოდელის სახარატო-საჩორტნი ჩარხი, ტტ-110 მოდელის მილდასამუშავებელი ავტომატი, მილების ბოლოების კუთხვილსახრახნი ტტ-105 მოდელის ავტომატი.

სურათზე: მექანიკურ-საამწყობო საამქროს ხარატი ალექსანდრე იმნაძე ამზადებს დეტალებს ტტ-97 მოდელის ახალი სახარატო-საჩორტნი ჩარხისათვის.

ფოტო **გ. კიკვაძისა.** (საქდესის ფოტოქრონიკა).

ბავშვთა ესთეტიკური აღზრდა

გაიხსნა სრულიად საკავშირო სემინარი

□

მოსკოვი, 11 სექტემბერი. (საკდესის კორ.). დღეს მოსკოვში გაიხსნა პედაგოგებისა და სკოლამდელი ასაკის ბავშვთა დაწესებულებების აღმზრდელთა სრულიად საკავშირო სემინარი, რომელიც მიძღვნილია მოზარდი თაობის ესთეტიკური აღზრდის გაუმჯობესების საკითხებისადმი, აღმზრდელობითი მუშაობის ფორმებისა და მეთოდების სრულყოფის პრობლემებისადმი. სემინარში მონაწილეობის მისაღებად მოსკოვში ჩამოვიდნენ რუსეთის ფედერაციის, უკრაინის, ბელორუსიის, მოლდავეთის, შუაზიის, ბალტიისპირეთისა და ამიერკავკასიის რესპუბლიკების სხვადასხვა ქალაქებისა და სოფლების პედაგოგიური მუშაკები.

პროფესორმა ი. ბ. ასტახოვმა სემინარზე წაიკითხა მოხსენება — „ესთეტიკური აღზრდის საკითხები სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1963 წლის ივნისის პლენუმის გადაწყვეტილებათა მიხედვით“. რუსეთის სფსრ პედაგოგიურ მეცნიერებათა აკადემიის სკოლამდელი აღზრდის მეცნიერმა მუშაკმა ი. ლ. ძერჟინსკაიამ თავისი მოხსენება მიუძღვნა თემას — „სკოლამდელი ასაკის ბავშვთა ესთეტიკური აღზრდა“.

სემინარზე პედაგოგები და აღმზრდელები ერთმანეთს გაუზიარებენ მუშაობის გამოცდილებას, გააშუქებენ სკოლამდელი ასაკის ბავშვთა დაწესებულებებში ესთეტიკური აღზრდის შინაარსსა და მეთოდებს. ისინი ეწვევიან აგრეთვე დედაქალაქის საუკეთესო სბავშვო ბაღებს.

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსაგან

**საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა სა

პარტიული ცხოვრებიდან

ლიხნელი კომუნისტები

შაგუ კუპალბა საგონებელშია, დრო არ ყოფნის, ეცოტავება ეს ოცდაოთხი საათი.

კოლმეურნეობის ჩაი, თამბაქო, ვაზი, ფერმა... ეს სწავლა რაღას ავიტეხე ამ „სიბერეში“, გაიფიქრა პარტიული კომიტეტის მდივანმა და მეხუთე კურსზე ჩასაბარებელი საგნები თითებზე გადათვალა.

39 წლისაა შაგუ კუპალბა, ბავშვობიდან კოლმეურნეობაში აღზრდილი, ჯანსაღი, მკვრივი კაცია, ოდნავ მოღლილი სახე და ქლიერი ხელები აქვს.

ადრე, კოლმეურნეობათა გამსხვილებამდე, ბომბორის კოლმეურნეობის თავმჯდომარედ მუშაობდა, მერე — გუდაუთის საწარმოო სამმართველოს ორგანიზატორად, მაგრამ, როცა ამ სამმართველოს უფროსმა მაქსიმე არჯენიამ თავის მშობლიურ სოფელ ლიხნის კოლმეურნეობის თავმჯდომარედ წასვლის სურვილი გამოთქვა და წავიდა კიდეც, აღარც შაგუს გაუჩერდა გული სამმართველოში და თვითონაც აქ წამოვიდა თავმჯდომარის მოადგილედ, მალე პარტიული კომიტეტის მდივნად აირჩიეს.

ლიხნში ვეებერთელა კოლმეურნეობაა 2.500 ჰექტარი სახნავსათესით. მას გამსხვილებისას ოთხი მეზობელი კოლმეურნეობა შემოუერთდა. 5.500 მოსახლეა სოფელში.

ამ საკმაოდ სახელგანთქმულ კოლმეურნეობაში ასზე მეტი კომუნისტია — კოლმეურნეობის წამყვანი ძალა და დასაყრდენი.

სოფლის კომუნისტებმა მთელი ენერგია იქითკენ წარმართეს, რომ კოლმეურნეობაში არ იყოს არც ერთი ჩამორჩენილი ბრიგადა.

წელს ლიხნელებს გეგმით 910 ტონა ჩაი უნდა მოეკრიფათ, მაგრამ ვალდებულება იკისრეს გეგმას გადაჭარბებით შევასრულებთ, — 960 ტონას მოვკრეფთო.

7 სექტემბრისათვის წლიური გეგმა უკვე შესრულებული იყო. ახლა საქმე ისე მიდის, ნაკისრ ვალდებულებასაც გადაამეტებენ.

პირადი მაგალითი მასების აღზრდის ნაცადი და საუკეთესო საშუალებაა. სოფლის კომუნისტები პირადი შრომითი მაგალითით ზრდიან სხვებს. დიდი ხანია დრო მოჭამა მხოლოდ „ბითითებებით“ ხელმძღვანელობამ. სოფელში არ არსებობს კომუნისტი, რომელიც თვითონ უშუალოდ არ იყოს ამა თუ იმ საქმის ინიციატორი და წამომწყები.

225 ტონა ჩაის ფოთოლს იძლევა ბრიგადა, რომელსაც ა. კეტია ხელმძღვანელობს. ამ ვეებერთელა ბრიგადაში მომუშავე კომუნისტებმა სანიმუშოდ მოაწყეს შრომა, აამაღლეს დისციპლინა.

მთელმა კოლმეურნეობამ იცის, რომ ახლა მეცხრე ბრიგადა ერთერთი მოწინავეა. საქმე გამოსწორდა, ბრიგადამ წამოიწია, ამბობს ახლა ყველა, მაგრამ ყველამ არ იცის, თუ რამდენი ზრუნვა, ფიქრი, აზრთა გაცვლა-გამოცვლა დასჭირდა პარტიულ კომიტეტს, რომ გამოსავალი გამოენახა. კოლმეურნეობის თავმჯდომარის მოადგილე გრიგოლ კუმარაზია წავიდა ბრიგადირად. ბევრი შრომა დახარჯეს კომუნისტებმა აქ იმისათვის, რომ დისციპლინა განმტკიცებინათ. ახლა კეთილსინდისიერად შრომობენ ვ. ვოზბა, გ. სამანჯია, კ. ვოზბა და სხვები, რომლებიც წინათ საკოლმეურნეო შრომისადმი მაინცდამაინც დიდ გულისყურს არ იჩენდნენ.

არ არსებობს საკოლმეურნეო ცხოვრების არცერთი კუთხე, არცერთი საკითხი, რომ სოფლის კომუნისტებს უგულისყუროდ დაეტოვებინოთ. შრომაში იწრთობა მომავლის მშენებელი ადამიანი. შრომითი აღზრდა კომუნისტური აღზრდის ერთ-ერთი ძირითადი პრინციპია, ამიტომ არის, რომ აქ სოფლის კომუნისტებს ძირითადი ყურადღება შრომის ორგანიზაციის საკითხებზე აქვთ გადატანილი.

კოლმეურნეობის პარტიულ კომიტეტში ახლა საკითხს ასე აყენებენ: ჩვენ ჩაის ვკრეფდით და მოვკრეფთ, კვლავაც გადაჭარბებით შევასრულებთ ჩაის კრეფის გეგმას, მაგრამ ეს საკმარისი არ არის. აუცილებელია თანდათან დავნერგოთ ადამიანებში შემოქმედებითი შრომის სიხარული, რომ კოლმეურნე საკოლმეურნეო შრომაში ბედნიერებას ხედავდეს, ამისთვის ორი რამ არის საჭირო — კოლმეურნის მორალურ-ეთიკური აღზრდა და მისი მატერიალური დაინტერესება. კოლმეურნის ბედელი პირამდე უნდა იყოს სავსე. ჩვენ ამას მივაღწევთ, — ამბობენ ამხანაგები პარტიულ კომიტეტში.

კოლმეურნეობის თავმჯდომარემ მ. არჯენიამ გვითხრა:

— ახლა, სკკპ ცენტრალური კომიტეტის ივნისის პლენუმის შემდეგ, ისე როგორც არასდროს, კოლმეურნეობის პარტიული აქტივი ყურადღებას აქცევს მშრომელთა აღზრდის საკითხებს. პარტიულმა კომიტეტმა დიდი მუშაობა გასწია წარსულის მაგნე გადმონაშთებისა და მახინჯ ტრადიციათა წინააღმდეგ.

ამას წინათ სოფელში გაიმართა საღამო ანტირელიგიურ თემაზე. კომუნისტების ახსნა-განმარტებითი მუშაობით ბაპტისტების მცირე ჯგუფმა თვითონვე შეწყვიტა თავისი საქმიანობა.

ასე იბრძვიან სოფლის კომუნისტები ადამიანთა საკეთილდღეოდ. ლიხნის კომუნისტებმა, აქტივმა ზედმიწევნით იციან ყველა ოჯახის ავკარგი, სატკივარი, დარდი და სიხარული. ისინი ყოველთვის მზად არიან დაეხმარონ მათ და, რაც მთავარია, ცდილობენ იცხოვრონ და იშრომონ ისე, რომ თვითონ იყვნენსამაგალითო.

* * *

... შუაღამე გადასული იყო, კოლმეურნეობის კანტორიდან რომ გამოვედით; შორს სადღაც მღეროდნენ...

შაგუ კუპალბამ სოფლის გზას გახედა. გზა სწორი იყო და პირდაპირი...

— გავიდა სოფელი დიდ გზაზე, — თქვა პარტიული კომიტეტის მდივანმა.

...ვარსკვლავებით მოჭედილი ცა დაჰყურებდა სოფელს, ისევ ისმოდა სიმღერა, რომელიც სოფლის ძალასა და სიმხნევეს გამოხატავდა...

ი. გოგეჩაია,
რ. დვალიშვილი,
გუდაუთის რაიონი, სოფელი ლიხნი.

სოხუმი. რესპუბლიკის ერთ-ერთი ყველაზე ახალგაზრდა საწარმოს — ქარხანა „ელექტროხელსაწყოს“ კოლექტივმა აითვისა მინერალების თვისებრივი ანალიზისათვის საჭირო კათოდურ-ლუმინესცენციური დანადგარების წარმოება.

სურათზე: საექსპერიმენტო საამქროს გამმართველი მ. ბლუაშვილი (მარჯვნივ) და მეხელსაწყოე ნ. ლეიბა მუშაობენ კათოდურ-ლუმინესცენციური დანადგარის აწყობაზე.

ფოტო ი. ჭოხონელიძისა. (საქდესის ფოტოქრონიკა).

„ვინ იცნობდა ვასილ გრიგოლის-ძე ბრეგვაძეს?“

სამამულო ომის გმირთა ნაკვალევზე

მისამართი ნაპოვნია

როგორც „კომუნისტი“ მკითხველებმა იციან, ა. წ. 27 აგვისტოს ნომერში ჩვენ გამოვაქვეყნეთ წერილი ჰიტლერელი ჯალათების მიერ ვერაგულად დახვრეტილ ქართველ მეომარზე სათაურით „ვინ იცნობდა ვასილ გრიგოლის-ძე ბრეგვაძეს?“. მამაცი გმირი ოკუპანტებმა აწამეს ესტონეთის დედაქალაქ ტალინის ცენტრალურ ციხეში.

ამჟამად მოძმე ესტონეთის ერთ-ერთი გამომცემლობა უშვებს წიგნს სამამულო ომში დაღუპულ გმირებზე, რომლებმაც თავი შესწირეს უცხოელ დამპყრობთაგან სამშობლოს განთავისუფლების საქმეს. რედაქცია ითხოვდა დაგვედგინა ვასილ გრიგოლის-ძე ბრეგვაძის სადაურობა, მიგვეწოდებინა მისი სურათი და მოკლე ბიოგრაფია. ჩვენს გაზეთში დაბეჭდილ წერილს გულისხმიერად გამოეხმაურნენ მკითხველები და ნათესავები.

უცნობი გმირის მისამართი უკვე ნაპოვნია. ქვემოთ ვბეჭდავთ რედაქციაში მიღებულ წერილებს ამ საკითხზე.

რა დამავიწყებს

ცრემლი ვერ შევიკავე, როცა „კომუნისტში“ დაბეჭდილი წერილი — „ვინ იცნობდა ვასილ გრიგოლის-ძე ბრეგვაძეს?“ — წავიკითხე. იგი დაკარგულად მიმაჩნდა. რას ვიფიქრებდი, თუ ჩემი გულადი ძმა ასე ჯალათურად მოკლეს ფაშისტმა ავაზაკებმა ტალინის ციხეში.

უკანასკნელად ჩემი ვასიკო ათი წლისამ ვნახე. 1941 წლის ზაფხულის დამდეგს ჩამოვიდა გორის რაიონში, მშობლიურ სოფელ საქაშეთში. ცოლიც ჩამოიყვანა რუსეთიდან, ოლია ერქვა, მეფერვრეობდა, კიდევ ჩამოსვლას და სანუკვრების მოტახასაც მპირდებოდა. მაგრამ მას შემდეგ არ გვეღირსა მათი ნახვა. ძმა ჯარში გაიწვიეს და ცეცხლის პირველ ხაზზე იბრძოდა ვერაგი მტრის წინააღმდეგ. მასთან ერთად წავიდა ფრონტზე ჩემი სამი ძმა — კონსტანტინე, ამირანი, ლავრენტი. მათგან სამი გმირულად დაეცა ბრძოლის ველზე. ცოცხალი დაბრუნდა მხოლოდ ლავრენტი, რომელსაც შინაურულად ლენტოს ვეძახდით. მოსაგონრად დამრჩა უკანასკნელი სამკუთხა ბარათი, ვასილი რომ იწერებოდა: ჩვენ გავიმარჯვებთ ფაშისტურ გერმანიაზე, დავამთავრებთ ომს და შინ ჩამოვალთ, ქვევრის თავზე ვიქეიფებთო.

მაგრამ ვაი რომ არ დასცალდა ამ ნატვრის შესრულება. იგი დაიღუპა მამულის თავისუფლებისათვის ბრძოლაში. ჩვენ გავიმარჯვეთ. ამ გამარჯვებას შეეწირა ჩემი სამი ძმა. რა დამავიწყებს მათ?

ცრემლი არ მშორდება, რომ ასე უდროოდ დაიღუპნენ ჩემი ღვიძლი ძმები ამირანი, კონსტანტინე და ვასილი.

ელენე ბრეგვაძე,
სოფელი კარალეთი.

ბრძოლა სწყურდა

მამაჩემს, გრიგოლს, ხუთი ვაჟი და ორი ქალი ჰყავდა. ოთხი ძმა ფრონტზე იბრძოდა. თავდადებულ შრომაში და მედგარ ბრძოლაში იჭედებოდა ჩვენი ხალხის გამარჯვება უბოროტეს მტერზე.

ვიცოდი, რომ სამი ძმა დაკარგე, მაგრამ თუ ვასილი ფაშისტებს დაუსვრეტიათ ტალინის ციხეში, ეს კი ვერ წარმომედგინა, თუმცა ციხეში მტრისგან ყველაფერი იყო მოსალოდნელი. ადამიანთა წამება, აწიოკება, ჩამოხრჩობა, დახვრეტა — აი რა მოჰქონდა მიხაკისფერი ურჩხულის ბატონობას ქვეყნად.

სამამულო ომში დაღუპული ვასილ გრიგოლის-ძე ბრეგვაძე, რომლის ვინაობის გამორკვევას ყურადღებით მოეკიდა გაზეთი, ნამდვილად ჩემი ძმა იყო. იგი მეტად შეუპოვარი, გულადი ახალგაზრდა გახლდათ და, ცხადია, თავს არ დაზოგავდა ჩვენი სარდლობის დავალების შესასრულებლად. აკი ამიტომაც არ დაინდეს გერმანელმა ფაშისტებმა, წამებით მოკლეს მაშინ დამონებულ, ახლა თავისუფალ ესტონეთში.

მართალია, ხუთი ძმიდან ორი დავრჩი, მაგრამ უქმად არ დაღვრილა ძმათა სისხლი — ისინი დაიხოცნენ სამშობლოს თავისუფლებისათვის ბრძოლაში.

დიმიტრი ბრეგვაძე,
აგარა.

ჩემი სამშობლო სოფლიდან — საქართველოდან იყო ვასილ გრიგოლის-ძე ბრეგვაძე, რომლის სადაურობით დაინტერესდა ჯერ მოძმე ესტონეთის ერთ-ერთი გამომცემლობა და მერე მისი ოხოვნით გაზეთი „კომუნისტი“.

კარგად ვიცნობდი ამ ოჯახს, ოთხი ვაჟაცი რომ გაგზავნა მამულის დასაცავად. ვასილის ძმა ამირანი 1944 წელს ჩემთან ერთად იყო რუსეთში „აზოვსტალის“ მეტალურგიულ ქარხანაში. ჩვენ უნდა შეგვესწავლა ფოლადის წრთობა, რომ შემდეგ რუსთავში გვემუშავნა ქართული თუჯისა და ფოლადის გამოსაშვებად.

ამირანს გული არ გაუჩერდა ქარხანაში. იგი თავისი სურვილით წავიდა ფრონტზე, რომ მონაწილეობა მიეღო მტრის საბოლოოდ განადგურებაში. მე მისგან ვიცოდი, რომ კონსტანტინე და ვასილი არაფერს იწერებოდნენ 1942 წლიდან და დაღუპულად თვლიდა ორივეს. საბწუხაროდ, მათი ბედი ხვდა ჩემს მეგობარს ამირანსაც.

შეიძლება გმირი ფიზიკურად დაღუპულ, მაგრამ სახელი და ხსოვნა ხალხში რჩება. ვასილს უკვდავყოფს ის წიგნი, რომელშიც იგი მოხსენიებული იქნება როგორც ესტონეთის განთავისუფლებისათვის დაუცხრომელი მებრძოლი.

ა. ტარუაშვილი,
ქ. რუსთავი.

დიდედამ მითხრა...

როგორც ყოველთვის, ჩემს უსინათლო კაპას და მოხუც დიდედას ხმამაღლა ვუკითხავ ბაზეთ „კომუნისტს“. ყურადღება მიიქცია 27 აგვისტოს ნომერში დაბეჭდილმა წერილმა „ვინ იცნობდა ვასილ გრიგოლის-ძე ბრეგვაძეს?“.

წერილის წაკითხვა ცრემლით დავამთავრე, მაგრამ რაღაც მაინც გამეხარდა, რომ გმირის ვინაობა ჩემი უფროსებისათვის ნაცნობი აღმოჩნდა.

— დიდედამ მითხრა, ვასილი საქაშათიდან არის, გორის რაიონშია ეს სოფელიო. იგი კოლმეურნე გრიგოლის ვაჟი იყოო. მასთან ერთად ამ ოჯახს სამი ვაჟაცი გამოეკალდაო. შვილო, დაწერე ეს ამბავი და რედაქციას შეატყობინეო. და მეც ვწერ, რაც გავიგე.

ლეილა სუმბათაშვილი,
ქარელი, მერვეკლასელი მოსწავლე.

შეხვედრა მოწინავე ქალებთან

მეოთხე წელია ნაყოფიერ მუშაობას ეწევა განათლების, უმაღლესი სკოლისა და სამეცნიერო დაწესებულებების მუშაკთა პროფკავშირის თელავის მასწავლებლის სახლთან არსებული მშობლთა კულტურის უნივერსიტეტი. გარდა თელავის მასწავლებლის სახლისა, სადაც გაერთიანებულია 120 დიასახლისი, უნივერსიტეტს აქვს თავისი ფილიალი დაბა ახმეტაში.

ამ დღეებში დაბა ახმეტის მშრომელებმა ზეიმით აღნიშნეს კულტურის უნივერსიტეტის ახალი, 1963-1964 სასწავლო წლის დაწყება.

ახმეტის კულტურის სახლში მოეწყო შეხვედრა საქართველოს მოწინავე ქალებთან, ხელოვნებისა და კულტურის სახელმოხვეჭილ მოღვაწეებთან. შეხვედრაზე სიტყვებით გამოვიდნენ ჟურნალ „საქართველოს ქალის“ რედაქტორი **თეო აბაშიძე**, კომპოზიტორი **მერი დავითაშვილი**, ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი პროფესორი **ქსენია სიხარულიძე**, საქართველოს სსრ სახალხო არტისტი **ალექსანდრა თოიძე**, საერთაშორისო არბიტრი ჭადრაკში **ქსენია გოგიავა**, ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე მხატვარი **ეკატერინე ბალდავაძე**, საბავშვო მწერალი **მარგო თომაძე**, მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტის დირექტორი **თამარ ზახაშვილი**.

მასპინძეკოთა სახელით სიტყვა წარმოთქვა მშობელთა უნივერსიტეტის რექტორმა, ახმეტის საშუალო სკოლის დირექტორმა ნ. პეტრიაშვილმა.

მ. ზურაბიშვილი.

13.000 მექანიზატორი ველისციხიდან

გურჯაანი. (საკ. კორ.). ველისციხეში ოცდაათი წელია, რაც სოფლის პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებელი არსებობს. ამ ხნის განმავლობაში სასწავლებელმა ცამეტი ათასზე მეტი მექანიზატორი მოამზადა. ისინი სასახელოდ შრომობენ გურჯაანის, თელავის, ყვარლის, სიღნაღის, გარდაბნისა და სხვა საწარმოო სამმართველოების კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში.

ველისციხის ტექნიკური სასწავლებლის კურსდამთავრებულმა ზაქარია არჩევნიშვილმა ბეჯითი შრომით გაითქვა სახელი. იგი კომპლექსური მექანიზაციით ამუშავებს „მინდვრის დედოფლის“ ნათესებს. ჰექტარზე საშუალოდ 70-90 ცენტნერ მოსავალს იღებს. ზაქარია არჩევნიშვილი საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატია.

ყვარლის საწარმოო სამმართველოს ჭიკაანის კოლმეურნეობის მექანიზატორმა ქამალ წოდოლიშვილმა, რომელმაც ტრაქტორის მართვა ველისციხის სასწავლებელში შეისწავლა, შვიდ თვეში გადამეტებით შეასრულა წლიური გეგმა, 447 ჰექტარის ნაცვლად რბილ ხვნაზე გადაყვანით 1.068 ჰექტარი საშუშაო შეასრულა და ათას კილოგრამზე მეტი სიწვავი დაზოგა.

ველისციხის სასწავლებელმა წელს 255 ტრაქტორისტი, კომბაინერი, მექანიკოვატორე და მებუღალტერე გამოუშვა. ახალ სასწავლო წელს აქ გაცილებით მეტ მექანიზატორს მოამზადებენ.

„კომუნისტის“ სიგნალის შემდეგ

მეჩაიეთა გულისტკივილი

ამ სათაურით გაზეთ „კომუნისტის“ 6 ივნისის ნომერში გამოქვეყნდა წერილი, რომელშიც აღნიშნული იყო გალის საწარმოო სამმართველოში შემავალ კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში ჩაის მოსავლიანობის გადიდების საქმეში არსებული მთელი რიგი ნაკლოვანებანი.

როგორც საქართველოს კპ გალის საწარმოო სამმართველოს პარტიული კომიტეტი გვატყობინებს, კორესპონდენციაში მოყვანილი ფაქტები შემოწმებით დადასტურდა. შემოწმების დროისათვის გალისა და აჩიგვარის სოფლის კოოპერატივები ცუდად ამარაგებდნენ მაღაზიებს ფართო მოხმარების სამრეწველო საქონლით, ხოლო საზოგადოებრივი კვების ობიექტებს — მეჩაიეებისათვის აუცილებელი კვების პროდუქტებით.

შემოწმების შედეგები განხილულ იქნა პარტიული კომიტეტის ბიუროზე ამ წლის 3 აგვისტოს. აღინიშნა, რომ მეჩაიეებისა და სოფლის მშრომელთა სამრეწველო საქონლითა და კვების პროდუქტებით მომარაგების საქმეში არსებული ნაკლოვანებანი ამჟამად გამოსწორებულია.

ბიურომ დაავალა გალისა და აჩიგვარის სამომხმარებლო კოოპერატივების გამგეობებს (ა. კვეკვეხკირისა და დ. შარიას) უზრუნველყონ მეჩაიეები და სოფლის ყველა მშრომელი ფართო მოხმარების საქონლითა და კვების პროდუქტებით. ამასთან ბიურომ დამანაშავეთა მიმართ მიღო ორგანიზაციული ზომები:

გალის სოფლის კოოპერატივის გამგეობის თავმჯდომარის მოადგილეს ა. კვეკვეხკირსა და აჩიგვარის სოფლის კოოპერატივის გამგეობის თავმჯდომარეს დ. შარიას შემოწმების დროისათვის სოფლის მშრომელთა მომარაგების საქმეში არსებული ნაკლოვანებებისათვის მეფეთათ. ამასთან გაფრთხილებულ იქნენ, რომ მსგავსი მდგომარეობის დაშვების შემთხვევაში მათ მიმართ მიღებული იქნება მკაცრი ზომები.

კოლმეურნეობა „მზიურის“ პარტიული ბიუროს მდივანს ი. ბიბლაიას სოფლის მშრომელთა შორის პოლიტიკურ-მასობრივი მუშაობის სუსტად დაყენებისათვის გამოეცხადა საყვედური.

ცხოვრების სარეველები

ხურამი რომ ცნობილი კურორტია, ეს არავისთვის ახალი არ არის, არც ის არის ახალი, რომ სურამში ჩიტის რძის შოვნაც კი შეიძლება, კაცს თუ ფული ბევრი აქვსო. საიდან, რა გზით? გადამყიდველებისაგან.

ვინ არიან ისინი, რომლებიც სხვადასხვა მაქინაციებით შოულობენ დეფიციტურ საბჭურ და იმპორტულ საქონელს და უსირცხვილო სპეკულაციას ეწევიან?

სურამელ სპეკულანტთა ბნელი საქმეები გამომზეურდა. გერშონ ისაკის-ძე ფიჩხაძე, მიხეილ არონის-ძე პალაგაშვილი, მენაშე მოშიახის-ძე ფიჩხაძე, არონ არონის-ძე პალაგაშვილი და იოსებ ხანანელის-ძე დავარაშვილი, რომელთაც მთელი ცხოვრების მანძილზე საზოგადოებრივ სასარგებლო შრომისათვის არ მოუკიდიათ ხელი, ჩვენი ქვეყნის მსხვილი სამრეწველო ქალაქების, მათ შორის მოსკოვისა და ლენინგრადის ხშირი სტუმრები იყვნენ. აქ ისინი ყიდულობდნენ სწრაფად სარეალიზაციო საქონელს და სურამში სპეკულატურ ფასებში ყიდდნენ.

მათ რუსეთში სამრეწველო საქონლის შეძენისა და იქიდან ჩამოტანის საკუთარი „წესიც“ შეიმუშავეს. მგზავრობა რომ უხიფათო ჰქონოდათ, მოსკოვში ფულს დებენთ „მოკითხვამდე“ ნათესავებისაგან იღებდნენ. შეძენილ საქონელსაც წინასწარ შეთანხმებული მისამართებით გზავნიდნენ ფოსტით სურამსა და ხაშურში. ზოჯერ ხელზე ატანდნენ ვაგონის გამცილებლებს.

საფოსტო ამანათების გამოგზავნაში სპეკულანტებს აქტიურ დახმარებას უწევდა ხაშურის საფოსტო განყოფილების მუშა არონ დავითის-ძე ჯანაშვილი, რომელიც მათ ქალაქ ხაშურში და დაბა სურამში მცხოვრებ „საიმედო“ მოქალაქეთა მისამართებით უწრუნველყოფდა.

ა. ჯანაშვილის მიერ მიცემული მისამართებით შარშან და შარშანწინ ამ სპეკულანტებმა მარტო მოსკოვიდან 71 ამანათი გამოგზავნეს 652 კილოგრამი საერთო წონით. აქედან კავშირგაბმულობის ხაშურის რაიკანტორის მუშაკების გ. წვერიანაშვილის სახელზე მოსულია 9 ამანათი, ს. ჯობაძის — 12, ა. ლაბაძის — 7, ე. მანჯავიძის სახელზე — 5 ამანათი და სხვა.

ამავე წლებში მოსკოვის მეათე საფოსტო განყოფილებაში დეპეშით „მოკითხვამდე“ ნათესავებისაგან მიიღეს ფული გერშონ ფიჩხაძემ 77.400 მანეთი, არონ პალაგაშვილმა — 18.000 მანეთი, იოსებ დავარაშვილმა — 60.000 მანეთი.

მიხეილ პალაგაშვილი ქალაქ მოსკოვში დაუკავშირდა იქ მცხოვრებ მოქალაქეებს ლიდა სერგოს ასულ ბოგატირიოვას, ანტონინა ივანეს ასულ ნეკრასოვას, ნიკოლოზ იაკობის-ძე ბოგატირიოვს. პალაგაშვილი თბილისის, ხაშურისა და სურამის საფოსტო განყოფილებებიან მსთ სახელზე სასპეკულაციო საქონლის შესაძენად გზავნიდა ფულს. სულ გაგზავნილი აქვს 52.520 მანეთი.

სპეკულანტთა და მათ ხელშემწყობთა მოქმედება ამხილა ხაშურის რაიონის მილიციის უფროსმა ოპერრწმენებულმა ნ. ხარებავამ, რომელმაც რაიონის პროკურატურის გამომძიებელ ნ. მღებრიშვილთან ერთად ბოლომდე მიიყვანა საქმის გამოძიება. სპეკულანტები მალე წარსდგებიან სასამართლოს წინაშე. მოსკოვში მცხოვრებ დამნაშავე პირთა მიმართ მასალები ცალკე გამოიყო და გაგზავნა მოსკოვის ძერჟინსკის რაიონის პროკურატურას პასუხისგებაში მისაცემად.

მხილებულია გარეშართა კიდევ ერთი ჯგუფი.

სოფელ საკირეში მცხოვრენი ილია არჩილის-ძე გოგოლაძე, ჯემალ ალექსანდრეს-ძე ბალახაძე და აკაკი პავლეს-ძე გურეშიძე არსად არ მუშაობდნენ. მთელ დღეებს უსაქმურობაში ატარებდნენ. მიმდინარე წლის 19 აპრილს ღამით მათ საკირის საფოსტო განყოფილება გაქურდეს, წაიღეს 82 მანეთი ფული, ბეჭედი და შტამპები, აგრეთვე სასრული იარაღი. იმავე ღამით სოფლის მაღაზიის გაქურდვაც სცადეს, მაგრამ ღამის დარაჯმა გაიგო და ქურდები გაფანტა. ბორჯომის მილიციის საკალაქო განყოფილებამ დააკავა ა. გურეშიძე, ხოლო ი. გოგოლაძე და ა. ბალახაძე მიიმალენ.

15 მაისს გოგოლაძემ და ბალახაძემ ახალი დანაშაული ჩადიოდნეს: მიიკოვსკიდან გიტაკეკეს კომუნალური მეურნეობის განყოფილების საგვირთო ავტომანქანა, მაგრამ გზაში ბენზინი მშეიოელიათ და ქალაქ მახარაძის მახლობლად მიატოვეს. 18 მაისს ეს ბორტმოქმედნი ბათუმიდან „ვოლგის“ მარკის ტაქსომოტორით, რომელსაც არტუშ სოლომონიანი მართავდა, ჩაქვის საბჭოთა მეურნეობისაკენ მიდიოდნენ. გზაში მძღოლს ყელზე ქამარი წაუჭირეს, 50 მანეთი წაართვეს და მიიმალნენ.

ბორტმოქმედთაგან ჯ. ბალახაძე უკვე დაპატიმრებულია, ხოლო ი. გოგოლაძე კვლავ მიმალულია და მისი ძებნა წარმოეს.

ვინმე რუბენ ოგანესის-ძე მურადხანიანს, რომელიც ჩითახვაქესის მაღაზიის გამგეგამყიდველად მუშაობდა, 1956 წელს მოულოდნელი რევიზიის შედეგად 49.983 მანეთი (ფულის ძველი კურსით) დანაკლისი აღმოაჩნდა, რის გამო მიიმალა. აღიძრა ჯერ ადგილობრივი, ხოლო შემდეგ საკავშირო ძებნა, მაგრამ მაინც წლების მანძილზე დამნაშავე ახერხებდა დამალვას. მიმდინარე წელს რაიონის გამსხვილებასთან დაკავშირებთ ბორჯომის პროკურატურიდან მისი საქმე ჩვენ დაგვექვემდებარა. პროკურატურის გამომძიებელმა შ. გაგნიძემ მილიციის მუშაკებთან მჭიდრო კავშირის დამყარებით შეძლო მურადხანიანის კვალის მიგნება. იგი დაკავებულ იქნა ყაზახეთის სსრ ქ. ჯამბულში. საქმის გამოძიება დამთავრდა. ის მთელი სიმკაცრით დასჯება.

რაიონის პროკურატურისა და მილიციის მუშაკები კვლავ გააძლიერებენ ბრძოლას ყოველგვარი დანაშაულის აღკვეთისათვის. სპეკულანტები, გამფლანგველები, ქურდები — საზოგადოების ეს სარეველები — სასტიკ პასუხისგებაში იქნებიან მიცემული.

ვ. ბერძენიშვილი,
ხაშურის რაიონის პროკურორი, იუსტიციის უმცროსი მრჩეველი.

გურჯაანი. (საკ. კორ.). ველისციხეში ოცდაათი წელია, რაც სოფლის პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებელი

„ჯამბულ“ ბოლოდროინდელ ლექსებში

... ბაბუაჩემს ამბავ ამბავ

ჩემი სამშობლო სოფლიდან — საქართველოდან იყო ვასილ გრიგოლის-ძე ბრეგვაძე, რომლის სადაურობით დაინტერესდა ჯერ მოძმე ესტონეთის ერთ-ერთი გამომცემლობა და მერე მისი ოხოვნით გაზეთი „კომუნისტი“.

კარგად ვიცნობდი ამ ოჯახს, ოთხი ვაჟაცი რომ გაგზავნა მამულის დასაცავად. ვასილის ძმა ამირანი 1944 წელს ჩემთან ერთად იყო რუსეთში „აზოვსტალის“ მეტალურგიულ ქარხანაში. ჩვენ უნდა შეგვესწავლა ფოლადის წრთობა, რომ შემდეგ რუსთავში გვემუშავნა ქართული თუჯისა და ფოლადის გამოსაშვებად.

ამირანს გული არ გაუჩერდა ქარხანაში. იგი თავისი სურვილით წავიდა ფრონტზე, რომ მონაწილეობა მიეღო მტრის საბოლოოდ განადგურებაში. მე მისგან ვიცოდი, რომ კონსტანტინე და ვასილი არაფერს იწერებოდნენ 1942 წლიდან და დაღუპულად თვლიდა ორივეს. საბწუხაროდ, მათი ბედი ხვდა ჩემს მეგობარს ამირანსაც.

შეიძლება გმირი ფიზიკურად დაღუპულ, მაგრამ სახელი და ხსოვნა ხალხში რჩება. ვასილს უკვდავყოფს ის წიგნი, რომელშიც იგი მოხსენიებული იქნება როგორც ესტონეთის განთავისუფლებისათვის დაუცხრომელი მებრძოლი.

ა. ტარუაშვილი,
ქ. რუსთავი.

... ბაბუაჩემს ამბავ ამბავ

ჩემი სამშობლო სოფლიდან — საქართველოდან იყო ვასილ გრიგოლის-ძე ბრეგვაძე, რომლის სადაურობით დაინტერესდა ჯერ მოძმე ესტონეთის ერთ-ერთი გამომცემლობა და მერე მისი ოხოვნით გაზეთი „კომუნისტი“.

კარგად ვიცნობდი ამ ოჯახს, ოთხი ვაჟაცი რომ გაგზავნა მამულის დასაცავად. ვასილის ძმა ამირანი 1944 წელს ჩემთან ერთად იყო რუსეთში „აზოვსტალის“ მეტალურგიულ ქარხანაში. ჩვენ უნდა შეგვესწავლა ფოლადის წრთობა, რომ შემდეგ რუსთავში გვემუშავნა ქართული თუჯისა და ფოლადის გამოსაშვებად.

ამირანს გული არ გაუჩერდა ქარხანაში. იგი თავისი სურვილით წავიდა ფრონტზე, რომ მონაწილეობა მიეღო მტრის საბოლოოდ განადგურებაში. მე მისგან ვიცოდი, რომ კონსტანტინე და ვასილი არაფერს იწერებოდნენ 1942 წლიდან და დაღუპულად თვლიდა ორივეს. საბწუხაროდ, მათი ბედი ხვდა ჩემს მეგობარს ამირანსაც.

შეიძლება გმირი ფიზიკურად დაღუპულ, მაგრამ სახელი და ხსოვნა ხალხში რჩება. ვასილს უკვდავყოფს ის წიგნი, რომელშიც იგი მოხსენიებული იქნება როგორც ესტონეთის განთავისუფლებისათვის დაუცხრომელი მებრძოლი.

ა. ტარუაშვილი,
ქ. რუსთავი.

კრიტიკა და ბიბლიოგრაფია

ჰოეტის შემოქმედებითი გზა

რევაზ მარგიანი თავიდანვე გამოირჩეოდა უაღრესად სპეციფიკური შემოქმედებითი ხმით და კოლორიტით. მკითხველმა შეიყვარა მისი პოეტური სამყარო — მშობლიური სვანეთი თავისი ძველი კოშკებით და ზვიადი მწვერვალებით.

სვანური თემა და მოტივები მის შემოქმედებაში არ გამხდარა მხოლოდ გარეგნული ბუტა-ფორიული ფონი. სვანეთი არის მისი პოეზიის სუნთქვა. იგი თან ახლავს მაშინაც, როდესაც შორდება მის ატმოსფეროს. ეს მომენტი ნათლად ჩანს პოეტის ბოლოდროინდელ ლექსებშიც, რომლებშიც ნაკლებად არის სვანეთის ფონი.

სარეცენზიო კრებული („მხოლოდ ახლა“) იწყება ლექსების ვრცელი ციკლით — „მარილი, დარდი და სიხარული“. ამ ციკლშია შემოქმედებითი ტკივილების გამხელა, ადამიანური სევდისა და სიხარულის სილამაზე.

ნამდვილ შემოქმედებას მუდამ თან ახლავს თავისებური ეჭვი და დაუსრულებელი ძიების განცდა. იგი დიდი შთაგონების თანაზიარი და გზის მაჩვენებელია ჭეშმარიტი პოეტური მუზისათვის. სიმპტომატურია, მაგრამ ნიჭიერ ხელოვანს იგი შემოქმედებით ძიების შუაგზაზე და მის დასასრულს უფრო მძაფრად აგონებს თავის თავს, ვიდრე ჭაბუკური შემოქმედებითი ენთუზიაზმის დროს. ისეთ ლექსებში, როგორიც არის „მარილი“, „ოღონდ ნუ დამსჯი სიყვარულისათვის“, „როდის მექნება ამის უფლება“ და სხვ. ლირიკული აღსარების საფუძველს წარმოადგენს არა განყენებული გრძნობა, არამედ მათი ეროვნულ სულისკვეთებასთან შესისხლხორცების განცდა. აქ არის შემოქმედებითი სიხარული და ტკივილების მშობლიურ ხალხთან გაზიარების უაღრესად წრფელი პათოსი. ეს მომენტი ნათლად გამოვლინებულია ლექსში „ნეტავი ვინ მთელის სიტყვაღარიბად?“

„მე არ გავცვივე ზოგიერთივით
ლექსი ტაშის და ვაშას ალმურში
და რაც გამაჩნდა გულში კეთილი,
სანთლად ავანთე ამ ჩემს მამულში.
ვთეთრდები ამდენ ორომტრიალში,
მამული არის ჩემი ვარსკვლავი.
არც გოგონების ტაშის გრიალში
არ ვისრისები პეპელასავით.“

ეს სტრიქონები თითქოს გამოწვევაა ისეთი წყობის მელექსეებისა, რომელთათვის პოეზ

საერთაშორისო
ᲓᲔᲙᲔᲛᲑᲠᲘᲡ ᲪᲚᲘᲡᲬᲘᲜᲘ ᲕᲘᲪᲝᲚᲘᲡᲬᲘᲜᲘ
ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲐ

ᲞᲠᲝᲢᲔᲡᲢᲔᲑᲘ ᲘᲜᲒᲚᲘᲡᲨᲘ

ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲗᲐ ᲓᲘᲡᲙᲠᲘᲛᲘᲜᲐᲪᲘᲘᲡ ᲬᲘᲜᲐᲐᲚᲛᲓᲔᲒ

ᲚᲝᲜᲓᲝᲜᲘ, 11 სექტემბერი. (საკდესი). ინგლისის მშრომელები ილაშქრებენ დიდი ბრიტანეთის კომუნისტური პარტიის დისკრიმინაციის წინააღმდეგ, რომელსაც უფლება არ მისცეს გამოდიოდეს რადიოთი და ტელევიზიით წინასაარჩევნო კამპანიის დროს.

ეირდრაის (ლანარკი) რკინიგზელთა პროფკავშირის განყოფილებამ წერილი გაუგზავნა პარლამენტის წევრს — თავისი საარჩევნო ოლქის დეპუტატს და სთხოვა, რომ დაუყოვნებლივ ჩაერიოს ამ საქმეში. დაგენპემის მანქანათმშენებლებმა მოითხოვეს დეეთმოს კომუნისტებს დრო რადიოთ და ტელეგადაცემებში. მათ შეუერთდნენ აგრეთვე აკოკ გრინის (ბირმინგჰემი) მანქანათმშენებლები, რომლებმაც საპროტესტო დეპეშა გაუგზავნეს ბიბისის კომპანიას.

ᲐᲜᲢᲘᲓᲔᲛᲝᲙᲠᲐᲢᲘᲣᲚᲘ ᲚᲝᲜᲘᲡᲫᲘᲔᲑᲐᲜᲘ

ᲞᲐᲠᲘᲖᲘ, 11 სექტემბერი. (საკდესი). მთავრობის ოფიციალურმა ორგანომ „ჟურნალ ოფიციელმა“ გამოაქვეყნა ვრცელი დებულება, რომ „თავდაცვის ბეგარა“ მოინახდინონ ფრანგებმა იხდვიდუალურად ან კოლექტიურად. ეს ბეგარა, რომელიც შემოღებულია 1959 წელს, ვრცელდება დაახლოებით 15 მილიონ კაცზე, რომლებიც სამხედრო ვალდებული არ არიან.

„თავდაცვის ბეგარა“ არის მობილიზაცია მშვიდობიან დროს ყველა მოქალაქისა ან მოქალაქეთა ნაწილისა, რომლებიც გამოყოფილი არიან საწარმოებსა თუ დაწესებულებებში „ძირგამომთხრელი საქმიანობის“ წინაღმდეგ საბრძოლველად. „თავდაცვის ბეგარის“ მოსახდელად გაწვეული მუშები, თუ ისინი ჩაიდენენ „გადაგდომებს“, რომლებიც სერიოზულად ჩაითვლება, დაექვემდებარებიან სამხედრო იურისდიქციას.

ეს წესი ძალაში შევა 1964 წლის 1 იანვრიდან.

ᲐᲮᲐᲚᲘ ᲮᲔᲚᲛᲝᲬᲔᲠᲔᲑᲘ

ᲕᲐᲨᲘᲜᲒᲢᲝᲜᲘ, 11 სექტემბერი. (საკდესი). ავსტრიისა და სიერა-ლეონეს წარმომადგენლებმა თავიანთი ქვეყნების მთავრობათა სახელით დღეს აქ ხელი მოაწერეს ხელშეკრულებას ატომური იარაღის გამოცდის აკრძალვის შესახებ ატმოსფეროში, კოსმოსურ სივრცეში და წყალქვეშ.

ᲔᲠᲗᲐᲓᲔᲠᲗᲘ ᲡᲬᲝᲠᲘ ᲒᲖᲐ

ბერლინი, 11 სექტემბერი. (საკდესი). სათაურით „მარქსიზმ-ლენინიზმი და მშვიდობისათვის ბრძოლა“ გაზეთმა „ნოიეს დოიჩლანდმა“ გამოაქვეყნა დღეს დიდი სტატია, რომელშიც მსიღებულია ჩინეთის ხელმძღვანელთა მავნე და საშიში შეხედულებანი ომისა და მშვიდობის საკითხებზე.

იმპერიალისტურმა ბურჟუაზიამ, ნათქვამია სტატიაში, გაბატონებული კლასი რომ გახდა, ატეხა ორი მსოფლიო ომი, რის შედეგად ხალხები გადაჩეხეს კატასტროფაში. მარტო მეორე მსოფლიო ომში გერმანიის იმპერიალიზმის ანგარიშზეა 32 მილიონი დახოცილი და 40 მილიონი დაჭრილი. პირდაპირი სამხედრო ხარჯებისა და მატერიალური ზარალის 1.350 მილიარდი დოლარიდან გერმანიაზე მოდის 273 მილიარდი დოლარი. ეს ფასეულობანი კი მრავალი ათწლეულის განმავლობაში იქმნებოდა მშრომელთა ბეჯითი შრომით...

კაცობრიობა, განაგრძობს „ნოიეს დოიჩლანდი“, ოცნებობს მთელი მსოფლიოს მშვიდობაზე. ომის წინააღმდეგ, მშვიდობისათვის ძნელი და რთული ბრძოლა სულ უფრო ეფექტიანად და ჭარმატებით მიმდინარეობს, რადგან სოციალისტური მსოფლიო სისტემის მუშათა კლასის სახელმწიფო ხელისუფლებას ყველა სხვა ქვეყნის მშვიდობისათვის ორგანიზებულ მებრძოლებთან ერთად შეუძლია ომის გზა გადაუღობოს იმპერიალიზმს და უზრუნველყოს მშვიდობა.

სოციალისტური მსოფლიო სისტემისა და უწინარეს ყოვლისა საბჭოთა კავშირის ძლიერების მეოხებით, ხაზგასმით აღნიშნულია სტატიაში, შეწყდა ომები, რომლებიც კორეასა და ვიეტნამში დაიწყო, აღიკვეთა სამხედრო პროვოკაციები გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის წინააღმდეგ 1953 წლის ივნისში და უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის წინააღმდეგ 1956 წლის შემოდგომაზე, აგრეთვე იმპერიალისტური აგრესიები ეგვიპტესა და ლიბანში, და ბოლოს, თავიდან იქნა აცილებული ამერიკელ იმპერიალისტთა შეჭრა კუბაში. ყველა ეს ფაქტი ცხადყოფს, რომ მსოფლიო ომები არ არის გარდაუვალი.

მაგრამ ჩინეთის ხელმძღვანელები უგულებელყოფენ ამ ფაქტებს და „ჩვენი ეპოქის კანონად“ აცხადებენ ომს. ისინი ავითარებენ მთელ თეორიას „რევოლუციური ომის“ შესახებ, „ომის — ახალი ეპოქის ხიდის“ შესახებ. ეს შეხედულება სავსებით არასწორი და საშიშია, რადგან იგი ხალხთა მასებს უნერგავს მშვიდობისა და სოციალიზმის ძალების ურწმენობას, აძნელებს ბრძოლას მშვიდობისათვის და ბრძოლას იმპერიალიზმის წინააღმდეგ.

გერმანელ ხალხს, ნათქვამია შემდეგ სტატიაში, ძალიან კარგად ახსოვს მეორე მსოფლიო ომის მსხვერპლნი. მას არაფრის გზით არ შეუძლია გაეზიაროს ჩინეთის ხელმძღვანელთა ის თვალსაზრისი, რომ „ატომური ბომბი ქაღალდის ვეფხვია“.

მარქსისტ-ლენინელები კაცობრიობის ინტერესებისათვის უარყოფენ ჩინეთის ხელმძღვანელების მიერ დასახულ „სოციალიზმის გზას“ ატომური ომის საშუალებით, რომლის ნაყოფს გამოიყენებს საშინელი კატასტროფისაგან გადარჩენილი კაცობრიობის მხოლოდ პატარა ნაწილი.

მშვიდობიანი თანაარსებობისა და მოლაპარაკების საშუალებით საერთაშორისო სადავო საკითხთა გადაჭრის გზა ერთადერთი სწორი გზაა, ხაზგასმით აღნიშნულია დასასრულ სტატიაში.

პარიზი, 11 სექტემბერი. (საკდესი). მოსკოვის ხელშეკრულება ატომური იარაღის გამოცდის ნაწილობრივი აკრძალვის შესახებ ატმოსფეროში, კოსმოსურ სივრცეში და წყალქვეშ.

ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲜᲐᲑᲘᲯᲘ

ᲑᲔᲠᲚᲘᲜᲘ. (საკდესი). გადაიდგა პირველი პრაქტიკული ნაბიჯი, და კაცობრიობა იმედით მოელის შემდეგ ნაბიჯს, განაცხადა გამოჩენილმა გერმანელმა მწერალმა არნოლდ ცვაიგმა გაზეთ „ნოიეს დოიჩლანდის“ ფურცლებზე იმი გამო, რომ დიდო მოსკოვის ხელშეკრულება ატომური იარაღის გამოცდის აკრძალვის შესახებ.

რეაქციისა და ომების ძალები უკან იხევენ მთელ მსოფლიოში, განაცხადა შემდეგ ა. ცვაიგმა. ატომური იარაღის გამოცდის აკრძალვის შესახებ ხელშეკრულებისადმი დამოკიდებულება ბევრი მთავრობისათვის თავიანთი ხალხების მიმართ ნდობისა და პატივისცემის სასინჯი ქვა გახდა. სამწუხაროა, რომ სწორედ ახლა, როცა დადასტურდა მშვიდობიანი თანაარსებობის პოლიტიკის კეთილ ნაყოფიერება, ჩინეთის ხელმძღვანელები იმყოფებიან ერთ ბანაკში ყველაზე აშკარა რეაქციონერებთან ერთად. ჩინეთის ხელმძღვანელთა პოზიციას ომისა და მშვიდობის საკითხებში, მათს განცხადებებსა და საქმიანობას შეუძლია მხოლოდ დააშინოს და ჩამოიშოროს ყველა ისინი, ვისთვისაც ძვირფასია პუმანიზმის იდეალები, ვისაც სურს კაცობრიობის ბედნიერება და აყვავება. ჩვენ, ევროპის პროგრესული მწერლები, რომლებმაც გადავიტანეთ ორი მსოფლიო ომის საშინელებანი, ვნახეთ უთვალავ ადამიანთა ტრაგედია და ალვწერეთ ისინი, უარვყოთ პეკინის პოლიტიკას.

გვწამს მშვიდობის, სოციალიზმისა და შემოქმედებითი ძალებისა. სოციალიზმი ჩვენი დროის ჭეშმარიტების ნათელი — გაჰფანტავს ყველა შავ აჩრდილს დედამიწაზე.

ᲐᲮᲐᲚᲘ ᲮᲔᲚᲛᲝᲬᲔᲠᲔᲑᲘ

ᲕᲐᲨᲘᲜᲒᲢᲝᲜᲘ, 11 სექტემბერი. (საკდესი). ავსტრიისა და სიერა-ლეონეს წარმომადგენლებმა თავიანთი ქვეყნების მთავრობათა სახელით დღეს აქ ხელი მოაწერეს ხელშეკრულებას ატომური იარაღის გამოცდის აკრძალვის შესახებ ატმოსფეროში, კოსმოსურ სივრცეში და წყალქვეშ.

ᲛᲘᲔᲡᲐᲚᲛᲔᲑᲘᲐᲜ ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘᲡ ᲮᲔᲚᲨᲔᲙᲠᲣᲚᲔᲑᲐᲡ

ᲙᲐᲛᲞᲐᲚᲐ, 12 სექტემბერი, (საკდესი). იუნესკოს აფრიკის ეროვნული კომისიების პირველმა რეგიონალურმა კონფერენციამ, რომელიც მიმდინარეობს მაკერერეს (უგანდა) საუნივერსიტეტო კოლეჯში, ერთსულოვნად მიიღო რეზოლუცია, რომლითაც მიესალმება მოსკოვის ხელშეკრულებას ატომური იარაღის გამოცდის ნაწილობრივი აკრძალვის შესახებ.

კონფერენცია, რომელშიც მონაწილეობას იღებს აფრიკის დაახლოებით 30 ქვეყანა, აგრეთვე გამოთქვამს იმედს, რომ განახორციელებენ კონკრეტულ ღონისძიებებს სრული და კონტროლდაქვემდებარებული განიარაღების მისაღწევად.

კონფერენციის მონაწილეებმა მიიღეს მოწოდება, რომ იმ სახსრების ნაწილი, რომელიც განთავისუფლდება განიარაღების შედეგად, მოახმარონ ბრძოლას უწიგნურობის ლიკვიდაციისათვის მსოფლიოში.

ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲜᲐᲑᲘᲯᲘ

ᲙᲐᲪᲝᲒᲠᲘᲝᲒᲘᲡ ᲒᲐᲓᲐᲣᲦᲔᲑᲔᲚᲘ ᲐᲛᲝᲪᲐᲜᲐ

ᲞᲐᲠᲘᲖᲘ, 11 სექტემბერი. (საკდესი). გაზეთმა „რუდე პრავომ“ გამოაქვეყნა სტატია — „მსოფლიო თერმობაირთულა ომის თავიდან აცილება გადაუდებელი ამოცანაა“. ჩინელი ხელმძღვანელები თავიანთი მსჯელობით, რომ „იმპერიალიზმის ეპოქაში გარდუვალია ომები“, ხოლო მაშასადამე, რომ გარდუვალია თერმობირთული სოციალისტურ ქვეყნებსა და იმპერიალიზმს შორის, ამახინჯებენ საერთაშორისო მუშათა კლასის საბოლოო მიზანს და დიდ ზიანს აყენებენ საერთაშორისო კომუნისტურ მოძრაობას, ხაზს უსვამს გაზეთი. მათი პოზიცია ომისა და მშვიდობის საკითხებში ეწინააღმდეგება ლენინიზმს, შეესაბამება ტროცკისტულ ხაზს და შორდება მსოფლიო კომუნისტური მოძრაობის პოზიციას. ჩინეთის მთავრობის მოქმედება მიმართულია საბჭოთა კავშირისა და სხვა სოციალისტური ქვეყნების მშვიდობისმოყვარული პოლიტიკის წინააღმდეგ, ძირს უთხრის დემოკრატიული საერთაშორისო ორგანიზაციების ერთობას.

თანამედროვე ისტორიულ ეპოქაში ბრძოლა მსოფლიო თერმობირთული ომის თავიდან აცილებისათვის, ყოველგვარი პროგრესის აუცილებელი პირობაა, წერს გაზეთი „რუდე პრავო“. არ შეიძლება განვიხილოთ მუშათა კლასის რევოლუციური მოძრაობის, სახალხო-განმათავისუფლებელი მოძრაობის რაიმე პრობლემა ისე, რომ არ დავუკავშიროთ მშვიდობისათვის, მსოფლიო თერმობირთული ომის თავიდან აცილებისათვის ბრძოლას. ეს არის ჩვენი ეპოქის თავისებურება.

ᲣᲨᲘᲨᲠᲝᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲑᲭᲝᲨᲘ

ᲜᲘᲣ-ᲘᲝᲠᲙᲘ, 12 სექტემბერი. საკდესის კორესპონდენტი ლ. ᲖᲔᲚᲘᲩᲐᲜᲚᲘᲡ იუწყება:

უშიშროების საბჭო განაგრძობს სამხრეთ როდეზიაში შექმნილი მდგომარეობის საკითხის განხილვას. გუშინ განის, მაროკოსა და ფილიპინების დელეგაციებმა შეიტანეს რეზოლუციის ერთობლივი პროექტი, რომელშიც აღნიშნულია, რომ სამხრეთ როდეზიის ახლანდელი მთავრობა შეიქმნა არადემოკრატიული და დისკრიმინაციული კონსტიტუციის საფუძველზე, რომელიც თავს მოახვევს სამხრეთ როდეზიის მოსახლეობას. პროექტში აღნიშნულია აგრეთვე, რომ ამ მთავრობისათვის ხელისუფლებისა და განსაკუთრებით სამხედრო ძალებისადმი კონტროლის გადაცემა გაუაზრესებს ისედაც საშიშ მდგომარეობას.

რეზოლუციის პროექტის ავტორები წინადადებას აძლევენ ინგლისის მთავრობას არ გადასცეს სამხრეთ როდეზიას უფლებრივ-ტერიტორიის რაიმე ატრიბუტი, სანამ ამ კოლონიაში არ შეიქმნება მთავრობა, რომელიც იქნება კოლონიის მთელი მოსახლეობის წარმომადგენელი. ინგლისის მთავრობას ურჩიეს აგრეთვე არ დაუქვემდებაროს სამხრეთ როდეზიის ხელისუფალთა კონტროლს სამხედრო ძალები და ავიაცია.

რეზოლუციის პროექტის ავტორები მოუწოდებენ ინგლისს განაზორციელოს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის წინანდელი რეზოლუციები სამხრეთ როდეზიის საკითხზე.

მაროკოს წარმომადგენელმა ბენ ჰიმამ დაასაბუთა რეზოლუციის ეს პროექტი. მან განაცხადა, რომ ვიქტორია-ფოლსის კონფერენციაზე, სადაც წყდებოდა ფედერაციის ბედი, ფაქტიურად მოხდა სახელმწიფო გადატრიალება, რომლის შედეგად სამხრეთ როდეზია ხელთ ჩაუგდეს უმნიშვნელო უმცირესობას.

უპასუხა რა ინგლისის წარმომადგენლის განცხადებაზე, რომელიც შეეცადა საეჭვო გაეხადა უშიშროების საბჭოს კომპეტენციისა განხილოს ეს საკითხი, ბენ ჰიმამ ხაზგასმით აღნიშნა, რომ „კოლონიზატორთა კოალიცია“ მუდამ უარყოფდა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უფლებას განიხილავდეს კოლონიურ საკითხებს. მაგრამ, თქვა მან, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წევრ სახელმწიფოთა დიდი უმრავლესობა სხვა შეხედულებისაა ამ საკითხზე.

ბენ ჰიმამ აღნიშნა, რომ ინგლისის წარმომადგენელმა პატრიკ დინმა საბჭოს წინა სხდომაზე ბევრი ილაპარაკა სამხრეთ როდეზიის „სუვერენულ უფლებებზე“, მაგრამ ერთი სიტყვაც არ უთქვამს ამ კოლონიის მოსახლეობის დიდი უმრავლესობის უფლებებზე, რომელსაც უქვემდებარებენ ფილდის რასისტული მთავრობის ხელისუფლებას.

მაროკოს წარმომადგენელმა ხაზგასმით აღნიშნა: ისევე როგორც კატანგაში, ინგლისი სამხრეთ როდეზიაში ხელმძღვანელობს გარკვეული ფინანსური წრეების ინტერესებით და რომ, ისევე როგორც კატანგაში, ეს კარგს არაფერს მოიტანს.

ამერიკის შეერთებული შტატების წარმომადგენელმა სტივენსონმა მხარი დაუჭირა დიდი ბრიტანეთის პოზიციას. ამერიკის შეერთებული შტატების დელეგაცია, თქვა მან, არ ეთანხმება იმათ, ვისაც მიაჩნია, რომ მდგომარეობა სამხრეთ როდეზიაში გაუარესდა. სტივენსონის აზრით, უშიშროების საბჭომ არ უნდა მიიღოს ამჟამად რაიმე გადაწყვეტილება ამ საკითხზე.

სტივენსონმა მოუწოდა უშიშროების საბჭოს წევრებს „ნდობით მოეკიდონ“ ინგლისს, რომელიც, როგორც მან თქვა, გამოიყენებს მთელ თავის გავლენას, რათა რაც შეიძლება მალე აღმოფხვრას რასიზმი სამხრეთ როდეზიაში.

ᲨᲔᲣᲪᲝᲕᲐᲠᲘ ᲑᲠᲫᲝᲚᲐ

ᲞᲐᲠᲘᲖᲘ, 12 სექტემბერი. საკდესის კორესპონდენტი ლ. ᲑᲝᲑᲠᲝᲕᲘ იუწყება:

რეა კვირაა გრძელდება ესპანელ მადლიერელთა ბრძოლა. ოფიციალური ფრანკისტული პრომაგანდა თითქმის ყოველდღე იუწყება, რომ ვითარება „მოწესრიგდა“ და საგფიცავო მოძრაობა დათავრდა ასტურიასა და ლეონში. მან, მაგალითად, გამოაცხადა, რომ მუშაობის განახლებას აპირებენ ასტურიის უდიდესი შახტის „კამორას“ გაფიცული მუშები, სადაც დასაქმებულია დაახლოებით 1.500 მუშახტე, სინანდვილეში კი, როგორც საფრანგეთის გაზეთ „მონდის“ კორესპონდენტი იუწყება, აღმოჩნდა, რომ „მუშაობა განაახლა“... დაახლოებით 40 მუშამ.

საგაფიცავო მოძრაობის განვითარებასა და შეუპოვრობას მეჭვრმეტყველურად მოწმობენ სხვა ციფრებიც. ესპანეთის წყაროების მიხედვითაც კი, ასტურიის ვანახშრომის მარტო ერთ აუზში, მდინარე ნალონის ხეობაში, გაფიცულია 14.794 მუშახტე. გაფიცულები მიმდინარეობს სხვა აუზებშიც, როგორც არის, მაგალითად, ლანგრეო და კაუდალი. სულ, გაზეთ „ფიგაროს“ სპეციალური მადრიდელი კორესპონდენტის ცნობით, ასტურიისა და ლეონის პროვინციებში გაფიცულია 25 ათასი მაღაროელი.

მაღაროელთა მომდინარე გაფიცება მიახნიათ ესპანელ მშრომელთა ახალ გამარჯვებად. მისმა მონაწილეებმა კვლავ დაიწყეს მამაცური ბრძოლა მიუხედავად ოფიციალური ფრანკისტული კანონებისა, რომლებიც კრძალავენ გაფიცვას და გაფიცულებს აცხადებენ „სახიფათო მეამბოხეებად“.

ასტურიის მეშახტეთა ბრძოლა, წერს დღეს თავის მორიგ ნომერში ყოველკვირეული „ფრანს ხუველი“, გრძელდება, და „ფრანკისტული დიქტატურის ყველა ცდა ჩაახშოს ეს ბრძოლა აწყდება მოძრაობის სანიმუშო სიმტკიცეს.

ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲘ

მე-8 გვერდი პარას

ხელმარჯვე ოსტატთა დაჯილდოება

თბილისის ბ. ძნელაძის სახელობის პიონერთა და მოსწავლეთა სასახლის დარბაზებში ათ დღეს უჩვენებდნენ იმ ნორჩ ხელმარჯვე პიონერთა ნახელავს, რომლებმაც ზაფხული საქართველოს ბანაკებში გაატარეს.

გაიმართა გამოფენის საზეიმო დახურვა. საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ნ. გურგენიძემ გამოფენის ნორჩ მონაწილეებს მიულოცა სასწავლო წლის დაწყება, უსურვა წარმატებანი შრომასა და სწავლაში. საქართველოს პროფსაბჭოს ინსტრუქტორმა ო. ბობოხიძემ წაიკითხა ყიურის გადაწყვეტილება.

გამოფენილი ექსპონატებისა და კედლის გაზეთების მიხედვით საუკეთესონი აღმოჩნდნენ სოფლის მეურნეობისა და დამზადების მუშათა და მოსამსახურეთა პროფკავშირის კიკეთის პიონერული ბანაკი და რკინიგზელთა წყნეთის პიონერული ბანაკი. მათ მიენიჭათ პირველი ფულადი პრემია და საქართველოს პროფსაბჭოსა და ალკკ ცენტრალური კომიტეტის პირველი ხარისხის სიგელები.

აღინიშნა განათლების, უმაღლესი სკოლისა და სამეცნიერო დაწესებულებათა მუშაკების პროფკავშირის ქვიზხეთის პიონერული ბანაკის ინიციატივა. ახალგაზრდა კინომოყვარულებმა გადაიღეს ფილმი ბანაკის ცხოვრებაზე — „დაუვიწყარი დღეები“. (საქდისი).

ფოტოეტიუდი ალ. ტაბატაძისა.

კურორტი გორიჯვარი

გორის ახლოს, ბურეთის მთის ძირას, მდებარეობს ადგილობრივი კურორტი გორიჯვარი. მისი გოგირდოვანი წყალი კურნავს სახსრების ქრონიკულ, ნერვული სისტემის და კანის, აგრეთვე ზოგიერთ სხვა დაავადებებს. შეუფერხებლად მუშაობს 20 აბაზანა.

დიდი ყურადღება ექცევა გორიჯვრის კეთილმოწყობას. გამოყვანილ იქნა სასმელი წყალი, გთვალისწინებულია კურორტის შემდგომი გაფართოება.

ახალი ამბები • ცნობები • ფაქტები • ქრონიკა

ახალი კონსტრუქციის ძრავი

ქუთაისი. (საკ. კორ.). ს. ორჯონიკიძის სახელობის საავტომობილო ქარხნის კონსტრუქტორებმა დააპროექტეს და არსებული ძრავის ბაზაზე შექმნეს ახალი კონსტრუქციის ექვსცილინდრიანი ფორსირებული ძრავი. მის კონსტრუქციაში შეცვლილია კარბიურატორი, აირგანაწილების მექანიზმი, ცილინდრის ბლოკის საბურავი და ზეთის ტუმბო.

ახალი კონსტრუქციის ძრავის შექმნით გაიზარდა თვითსაცლელი ავტომობილის სიჩქარე, ტვირთამწეობა და გამძლეობა.

ახლა ქარხნის მთავარი კონვეიერიდან ფორსირებული ძრავებით ჩამოდის „ვაზ-120-ტ-ვ“ მარკის უნაგირა გამწე ავტომობილი. ქუთაისელი ავტომშენებლები ახალი კონსტრუქციის ძრავებს სათადარიგო ნაწილებად ამზადებენ აგრეთვე „ზილ-157“ და „ზილ-158“ მარკის ავტომობილებისათვის.

„ვოლგა“ ლატარიის ბილეთით

გურჯაანი. (საკ. კორ.). **საგარეჯოს საბჭოთა მეურნეობის ავტომძღოლმა ოსეფ როსტომაშვილმა შემნახველ სალაროში წარადგინა ფულისა და ნივთების 1963 წლის მე-5 გამოშვების ლატარიის 13288 სერიის № 191 ბილეთი, რომელსაც მოგებად ხვდა ავტომანქანა „ვოლგა“.**

პირადმა წონამ განსაზღვრა...

ასეთი შეუპოვარი, თანაც მოულოდნელი ბრძოლები არც ერთ მსოფლიო ჩემპიონატს არ ახსოვს. უკვე ხუთ წონითს კატეგორიაში გათამაშდა ოქროს, ვერცხლისა და ბრინჯაოს მედლები და აქედან ორში ჩემპიონობისა და ვერცხლის მედლის საკითხი სპორტსმენთა პირადმა წონამ განსაზღვრა.

ეს მოხდა მსუბუქ და ქვესაშუალო წონაში სტოკპოლმის „ერიკსდალს-ჰალეს“ სასპორტო დარბაზში.

ბრძოლის სიმძაფრით გამოირჩეოდა პაექრობა ქვესაშუალო წონაში, სადაც პირველობის მთავარი პრეტენდენტები იყვნენ ა. კურინოვი (სსრ კავშირი), უნგრელი მ. ხუსკა, ტ. კონო (ამერიკის შეერთებული შტატები) და ჩეხოსლოვაკიელი ჰ. ზდრაჟილი. პირველ მოძრაობაში (აჭიმვა) ყველაზე უკეთესი შედეგი აღმოაჩნდა მ. ხუსკას — 145 კილოგრამი. ა. კურინოვმა და ტ. კონომ თანმიმდევრულად აჩვენეს 140 და 135 კილოგრამი.

მომდევნო მოძრაობაში (ატაცი) ამერიკელმა ტ. კონომ 0 შეფასება მიიღო, ხოლო ა. კურინოვმა და მ. ხუსკამ აჩვენეს 130 და 127,5 კილოგრამი. ორი მოძრაობის შემდეგ კვლავ წინ იყო უნგრელი შტანგისტი. ჩემპიონობის საკითხი უნდა გადაწყვიტა უკანასკნელ მოძრაობას — აკვრას. ა. კურინოვმა შეძლო დასწეოდა მეტოქეს. მისი შედეგი იყო 167,5 კილოგრამი, მ. ხუსკასი — 165 კილოგრამი.

ამრიგად, ა. კურინოვმა და მ. ხუსკამ სამჭიდში მოაგროვეს 437,5 კილოგრამი თვითეულმა, მაგრამ ა. კურინოვის საკუთარი წონა ნაკლები აღმოჩნდა და ოქროს მედალიც მას ხვდა. მესამე ადგილი დაიკავა ჰ. ზდრაჟილმა.

მძაფრი აღმოჩნდა აგრეთვე პაექრობა საშუალო წონაში. აქ მთავარი მეტოქეობა უნგრელ დ. ვერეშსა და საბჭოთა შტანგისტ რ. პლიუკფელდერს შორის მიმდინარეობდა. დ. ვერეშმა თავიდანვე ხელი იგდო ინიციატივა, სამჭიდში აჩვენა 477 კილოგრამი და ოქროს მედლის მოპოვებასთან ერთად ორი მსოფლიო რეკორდი დაამყარა. რ. პლიუკფელდერმა 467,5 კილოგრამით მეორე ადგილი დიაკავა.

იტალიაში ტურნეს შემდეგ ფრე

მოსკოვის „დინამოს“ ფეხბურთელთა კოლექტივი იტალიის ტურნეს შემდეგ სამშობლოში დაბრუნდა და საკავშირო ჩემპიონატში ჩაება. მორიგი მატჩი დინამოელებს ჰქონდათ გუშინ საკუთარ მოედანზე კიშინიოვის „მოლდოვასთან“ და შეხვედრა ფრედ — 0:0 დაამთავრეს. დედაქალაქის დინამოელებს 23 თამაშიდან 34 ქულა აქვთ.

კაპაბლანკას ხსოვნის ტურნირზე

შედგა კაპაბლანკას ხსოვნის საერთაშორისო ტურნირის მეთორმეტე ტური ჰავანაში. ყველაზე საინტერესო გამოდგა გელერისა და ტალის პარტია, რომელიც გადაიდო ტალისათვის მოსაგებ პოზიციაში. კორჩნოისა და ო' კელის პარტია ყაიმით დამთავრდა.

12 ტურის შემდეგ ლიდერობას ვ. კორჩნოი ინარჩუნებს, რომელსაც 9,5 ქულა აქვს.

სპორტული ქრონიკა

☐ **ბუქარესტში** შედგა წყალბურთელთა საერთაშორისო ტურნირის მორიგი მატჩები. სსრ კავშირის გუნდი შეხვდა რუმინეთის ახალგაზრდულ ნაკრებს და გაიმარჯვა 6:2.

☐ **გაივართა** „ბ“ კლასის გუნდების შეხვედრები ფეხბურთში. აი მათი შედეგები: **„სტროიტელი“** (ბელეი) — **„დინამო“** (ბათუმი) 0:2, **„ნისტეული“** (ბენდერი) — **„დინამო“** (სოხუმი) 0:0, **„ლუჩაფერული“** (ტირასპოლი) — **„მეტალურგი“** (რუსთავი) 2:5.

☐ **პორტუ-ალეგრიდან** (ბრაზილია) მოსკოვში დაბრუნდნენ უნივერსიადის მონაწილე საბჭოთა სპორტსმენები. მათთან ჩამოიტანეს 18 ოქროს, 16 ვერცხლისა და 7 ბრინჯაოს მედალი.

ქ. ე. ლავასასი

გარდაიცვალა საკოლმეურნეო მშენებლობის ერთ-ერთი უძველესი ორგანიზატორი, ჩაქვის რაიონის სოფელ დაგვის კოლმეურნეობის ყოფილი თავმჯდომარე, სოციალისტური შრომის გმირი ქრისტეფორე ელეფთერის-ძე ლავასასი.

ქ. ლავასასმა გაიარა ხანგრძლივი და სახელოვანი გზა მუშიდან მსხვილი სუბტროპიკული მეურნეობის ხელმძღვანელამდე. შრომითი საქმიანობა დაიწყო 14 წლისამ, 23 წელიწადზე მეტი იმუშავა სხვადასხვა დაწესებულებებში შავ მუშად, მძღოლის თანშემწედ, მძღოლად.

1931 წელს მუშა ქ. ლავასასი პარტიული მობილიზაციით სამუშაოდ გაიგზავნა სოფელში 15-ათასოვანთა რიცხვში. თავდაპირველად იგი დაგვის სასოფლო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე იყო, ხოლო 1933 წლიდან სოფელ დაგვის კოლმეურნეობის გამგეობის თავმჯდომარე. აქედან მოკიდებული 1957 წლამდე, ვიდრე პენსიაზე გავიდოდა, იგი უცვლელად ხელმძღვანელობდა კოლმეურნეობას, მთელ ძალღონეს ანდომებდა მის განმტკიცებას, მსხვილ სოციალისტურ მეურნეობად გადაქცევას. ქ. ლავასასმა თავი გამოიჩინა როგორც საუკეთესო კომუნისტმა, ორგანიზატორმა, ნიჭიერმა ხელმძღვანელმა.

ქ. ლავასასის ხელმძღვანელობის წლებში ჩაქვის რაიონის ოქელ დაგვის კოლმეურნეობა ბატონ მეურნეობიდან მსხვილ სუბტროპიკულ მეურნეობად გადაიქცა.

ამ კოლმეურნეობის შესანიშნავი წარმატებანი, რომიც დიდი წვლილი მიუძღვის ქ. ლავასასს, ჩვენი რესპუბლიკის ფარგლებს გარეთაც კარგად არის ცნობილი.

კომუნისტურმა პარტიამ და საბჭოთა მთავრობამ მაღალი შეფასება მისცეს ქ. ლავასასის შრომას. მას მიენიჭა სოციალისტური შრომის გმირის საპატიო წოდება. იგი ბევრჯერ იყო არჩეული საქართველოს კპ აჭარის საოლქო კომიტეტის წევრად, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატად.

კოლმეურნეობის შესანიშნავი მეთაურის, გულისხმიერი ამხანაგის ქ. ლავასასის ნათელი სახელი მუდამ დარჩება მისი ამხანაგების გულში.

ამხანაგების ჯგუფი.

ღენინგრადი, (საკდისის კორ.). ა. ს. პუშკინის ავტოგრაფების ვრცელ კრებულს, რომელიც ინახება სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის პუშკინის სახლის ხელნაწერთა განყოფილებაში, კვლავ ემატება დიდი პოეტის ავტოგრაფები და დოკუმენტები, რომლებიც წინათ უცნობი იყო ან დაკარგულად ითვლებოდა. უკანასკნელ ხანს აღმოჩენილი ეს მასალები გამოქვეყნდა აკადემიკოს მ. პ. ალექსეევის რედაქციით გამოსულ სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის „პუშკინის კომისიის მატეანეში“ ო. ს. სოლოვიოვის კომენტარებით.

დიდი პოეზიის გამოუქვეყნებელი ავტოგრაფები

პუშკინისტმა ტ. გ. ციავლოვსკაიამ ოსტაფიევის არქივში (ლიტერატურისა და ხელოვნების ცენტრალური სახელმწიფო არქივი) აღმოაჩინა პუშკინის დაკარგული წერილი ვ. თ. ვიაზემსკაიასადმი, რომელიც დათარიღებულია 1830 წლის აგვისტოთი.

ქალაქ გორკიში ნაპოვნია ა. დ. ოსტაფიევას ალბომი, რომელშიც პუშკინის ხელით ჩაწერილია დერჟავინის ლექსები. პუშკინის სახლმა პროფესორ ი. მ. სარკიზოვ-სერაზინისაგან ძვნნად მიიღო პუშკინის წერილი ლ. მ. ალიმოვასადმი. აღმოჩენილია პუშკინის ზოგიერთი შენიშვნა, მათ შორის პუგაჩოვის საქმის ერთ-ერთ ფურცელზე აღმოჩენილია პოეტის ხელნაწერი უცხოელის საქმეთა კოლეგიის ერთ-ერთ წიგნში იმის შესახებ, რომ მან წაიკითხა ეკატერინე II ბრძანებულება. წინათ უცნობ სხვა ავტოგრაფებს შორის არის პუშკინის მიერ ჩაწერილი და, შესაძლებელია, მის მიერ ჩასწორებული ბარატინსკის ეპიგრამა ბულგარინზე.

საინტერესოა პუშკინის ორი ავტოგრაფის ბედი, რომლებიც გამორჩათ პუშკინისტებს. ორივე ეს ავტოგრაფი აღმოჩნდა ცნობილი მსახიობის, მწერლის, ბიბლიოფილისა და შემკრების ნ. პ. სმირნოვ-სოკოლსკის კოლექციაში. ამ ავტოგრაფების შესახებ იგი მოგვითხრობს თავის ცნობილ წიგნში „მოთხრობები წიგნებზე“ კარში „ერთი ავტოგრაფის ბედი“ და „მახსოვს მშვენიერი წამი“. ნ. პ. სმირნოვ-სოკოლსკის ქვრივმა შეასრულა ფაქტი — პუშკინის სახლს.

გარდა პოეტის ხელნაწერებისა პუშკინის სახლის კრებულებს შეემატა აგრეთვე ერთი მეტად საინტერესო დოკუმენტი პუშკინის პირადი არქივიდან. ეს არის სამგზავრო მოწმობა („პაშპორტი“), რომელიც მიეცა პუშკინს 1820 წლის 5 მაისს „თავისუფალი მგზავრობისათვის“ პეტერბურგიდან რუსეთის სამხრეთი მხარის კოლონისტების მთავარ მზრუნველთან, გენერალ ინზოვთან, რომელთანაც პოეტი გაგზავნეს „სამსახურის საჭიროების გამო“. ამ სამგზავრო მოწმობით პოეტისათვის იწყება გადასახლების პირველი ეტაპი, რომელიც 6 წელს გაგრძელდა. სამგზავრო მოწმობა მიუკვლეველი რჩებოდა. 1937 წელს პარიზის ოპერის ბალეტმეისტერმა პუშკინის ხელნაწერთა კოლექციონერმა სერგი ლიფარმა შეიძინა პუშკინის სამგზავრო მოწმობა ერთ-ერთი ბუკინისტისაგან სენის სანაპიროზე. ამას წინათ, ტურისტული მოგზაურობის დროს საბჭოთა კავშირში ს. ლიფარმა ლენინგრადში დიდი პოეტის სამგზავრო მოწმობა უძღვნა პუშკინის სახლს.

რა ვნახოთ, რა მოვისმინოთ

14 სექტემბერი

პირველი პროგრამით

06.40 — ქართული ხალხური სიმღერები, 07.30 — რადიოგაზეთი „საქართველოს პიონერა“, 08.25 — პოპულარული კამერული მუსიკა, 11.15 — კონცერტი ს. პროკოფიევის ნაწარმოებებიდან, 12.10 — გადაცემა ციკლიდან — „ადამიანები, რომელთა მაგალითი მისაბაძია“, 12.25 — ნაწყვეტები შ. მშველიძის ოპერებიდან, 13.40 — აფხაზური სიმღერები, 17.15 — გადაცემა მოსწავლეთათვის. რადიოდადგმა „თქმულება ანდრიეშზე“, 18.10 — მუსიკალური რადიოაფიშა, 18.45 — „მღერის ჰარი ბელაფონტე“, 19.20 — ორი ფრაგმენტი დ. თორაძის ბალეტ „გორდადან“, 19.30 — გადაცემა ახალგაზრდობისათვის, 20.15 — ქართული ხალხური სიმღერები, 20.30 — „მხიარული ტალღაზე“, 21.00 — „ძილისპირული“, 21.15 — მ. ამირანაშვილისა და ზ. ანჯაფარიძის კონცერტი 21.45 — „ქართული ხატოვანი სიტყვა-თქმანი“, 22.50 — მორის რაველის ალბორადა, 23.30 — ქართული მსუბუქი მუსიკა.

მეორე პროგრამით

20.00 — სმეტანა. სიმფონიური პოემა „ელტავა“, 20.15 — საუბარი საერთაშორისო თემაზე, 20.30 — საბჭოთა კავშირის ხალხთა სიმღერები და საცეკვაოები, 21.15 — ლიტერატურული გადაცემა“, 21.45 კონცერტი — „შაბათ საღამოს“.

ტელევიზია

18 სექტემბერი

18.00 — „დღეს ჩვენს პროგრამაშია“, 18.05 — მოსწავლეთათვის მხატვრული ფილმი „ნადირობა ჩექმებზე“, 19.35 — საუბარი იურიდიულ თემაზე, 19.55 — კინონარკვევი, 20.05 — გადაცემა სოფლის მეურნეობის მუშაკთათვის“ „ვალდებულება შესრულებულია“, 20.25 — კინოჟურნალი „მეცნიერება და ტექნიკა“ № 14, 20.35 — ბალეტის საღამო, 21.00 — მხატვრული ფილმი „სახლი ორ ქუჩაზე“, 22.20 — ახალი ამბები.

რედაქტორი

დ. მჰედლიშვილი.

შეამოწმეთ, ვინ რა მოიგო

ოფიციალური ცხრილი

საქართველოს სსრ ფულისა და ნივთების 1963 წლის (მეექვსე გამოშვების) ლატარიის მოგებათა ტირაჟისა. მოგებათა ტირაჟი გაიმართა 1963 წლის 10 სექტემბერს ქ. ცხინვალში.

ტირაჟში გათამაშდა 186 ნივთის მოგება და 119.814 ფულადი მოგება 225.000 მანეთის თანხისა. მოგება ხვდა 1963 წლის (მეექვსე გამოშვების) ლატარიის სერიებისა და ბილეთების შემდეგ ნომრებს:

სერიის №	ბილეთის №	მოგებული ნივთის დასახელება ან ფულადი მოგების ოდენობა	მოგებული ნივთის ფულადი ღირებულება
15008	244*	პიანინო	526—50
15040	086*)	ფოტოაპარატი „კიევი-4“	125—00
15054	290*)	25 მანეთი	—
15073	349*)	ფოტოაპარატი „კიევი-4“	125—00
15083	076*)	რადიოლა „ესტონია-2“	241—50
15084	399*)	25 მანეთი	—
15101	403*)	ავტომანქანა „მოსკვიჩი“	2511—25
15143	429*)	მაცივარი	200—00
15147	301*)	რადიოლა „ესტონია-2“	241—50
15149	241*)	მხატვრული და სხვა ლიტერატურის ბიბლიოთეკა	52—00
15162	464*)	სახვითი ხელოვნების ნაწარმოებნი	30—00
15176	186*)	ავტომანქანა „ზაპოროჟეცი“	1800—00
15186	309*)	ტელევიზორი „რეკორდი“	210—00
15188	222*)	25 მანეთი	—
15201	064*)	სარეცხი მანქანა „ბათუმი“	90—00
15239	219*)	მაცივარი	200—00
15242	280*)	ელექტროსამართებელი „ხარკოვი“	22—50
15246	102*)	ელექტროსამართებელი „ხარკოვი“	22—50
15257	368*)	მაცივარი	200—00
15261	466*)	მხატვრული და სხვა ლიტერატურის ბიბლიოთეკა	52—00
15271	1—500	10 მანეთი	—
15296	197*)	300 მანეთი	—
15310	343*)	სახვითი ხელოვნების ნაწარმოებნი	30—00
15327	414*)	50 მანეთი	—
15328	050*)	25 მანეთი	—
15345	396*)	25 მანეთი	—
15361	046*)	ელექტროსამართებელი „ხარკოვი“	22—50
15362	283*)	25 მანეთი	—
15365	279*)	ფოტოაპარატი „კიევი-4“	125—00
15370	064*)	მაჯის საათი მამაკაცისა „პობედა“	22—00
15376	225*)	მტვერსასრუტი „ჩაიკა“	42—50
15399	158*)	ელექტროსამართებელი „ხარკოვი	22—50
15402	134*)	მაცივარი	200—00
15435	074*)	სახვითი ხელოვნების ნაწარმოებნი	30—00
15441	393*)	რადიოლა „ესტონია-2“	241—50
15447	245*)	ელექტროსამართებელი „ხარკოვი“	22—50
15468	447*)	25 მანეთი	—
15491	103*)	ელექტროსამართებელი „ხარკოვი“	22—50
15500	448*)	სახვითი ხელოვნების ნაწარმოებნი	30—00
15522	1—500	10 მანეთი	—
15553	266*)	ფოტოაპარატი „კიევი-4“	125—00
15558	011*)	ელექტროსამართებელი „ხარკოვი	22—50
15571	264*)	50 მანეთი	—
15574	245*)	ფოტოაპარატი „კიევი-4“	125—00
15599	498*)	ელექტროსამართებელი „ხარკოვი“	22—50
15610	115*)	ხელის საკერავი მანქანა	58—30
15617	110*)	რადიოლა „ესტონია-2“	241—50
15628	479*)	ტელევიზორი „რეკორდი“	210—00
15642	095*)	რადიოლა „ესტონია-2“	241—50
15655	078*)	მაჯის საათი მამაკაცისა „პობედა“	22—00
15656	1—500	5 მანეთი	—
15695	386*)	50 მანეთი	—
15710	077*)	პიანინო	526—50
15717	191*)	50 მანეთი	—
15726	191*)	50 მანეთი	—
15732	383*)	მტვერსასრუტი „ჩაიკა“	42—50
15743	014*)	ავტომანქანა „მოსკვიჩი“	2511—25
15747	413*)	პიანინო	526—50
15755	254*)	ფოტოაპარატი „კიევი-4“	125—00
15785	409*)	რადიოლა „ესტონია-2“	241—50
15803	080*)	მაცივარი	200—00
15812	110*)	ავტომანქანა „ზაპოროჟეცი“	1800—00
15817	115*)	მაცივარი	200—00
15828	199*)	მაცივარი	200—00
15835	360*)	ხელის საკერავი მანქანა	58—30
15842	321*)	პიანინო	526—50
15855	018*)	100 მანეთი	—
15866	383*)	რადიოლა „ესტონია-2“	241—50
15896	027*)	მაცივარი	200—00
15904	308*)	ტელევიზორი „რეკორდი“	210—00
15920	277*)	ელექტროსამართებელი „ხარკოვი“	22—50
15924	1—500	5 მანეთი	—
15930	045*)	სახვითი ხელოვნების ნაწარმოებნი	30—00
15955	257*)	ავტომანქანა „მოსკვიჩი“	2511—25
15986	480*)	ელექტროსამართებელი „ხარკოვი“	22—50
16009	498*)	ტელევიზორი „რეკორდი“	210—00
16017	057*)	ხელის საკერავი მანქანა	58—30
16029	006*)	ელექტროსამართებელი „ხარკოვი“	22—50
16030	028*)	500 მანეთი	—
16059	137*)	ფოტოაპარატი „კიევი-4“	125—00
16064	170*)	რადიოლა „ესტონია-2“	241—50
16080	029*)	100 მანეთი	—
16112	266*)	სახვითი ხელოვნების ნაწარმოებნი	30—00
16123	157*)	ელექტროსამართებელი „ხარკოვი“	22—50
16124	265*)	მაცივარი	200—00
16139	480*)	რადიოლა „ესტონია-2“	241—50
16140	351*)	მაცივარი	200—00
16147	219*)	ელექტროსამართებელი „ხარკოვი“	22—50
16152	269*)	25 მანეთი	—
16154	372*)	მხატვრული და სხვა ლიტერატურის ბიბლიოთეკა	52—00
16161	489*)	ხელის საკერავი მანქანა	58—30
16168	292*)	ტელევიზორი „რეკორდი“	210—00
16225	016*)	პიანინო	526—50
16244	312*)	ხელის საკერავი მანქანა	58—30
16247	431*)	25 მანეთი	—
16269	342*)	რადიოლა „ესტონია-2“	241—50
16282	453*)	ხელის საკერავი მანქანა	58—30
16284	392*)	ტელევიზორი „რეკორდი“	210—00
16288	041*)	მაჯის საათი მამაკაცისა „პობედა“	22—00
16307	062*)	მაცივარი	200—00
16310	477*)	მაცივარი	200—00
16329	399*)	ტელევიზორი „რეკორდი“	210—00
16334	248*)	პიანინო	526—50
16335	231*)	ავტომანქანა „ზაპოროჟეცი“	1800—00
16344	411*)	ფოტოაპარატი „კიევი-4“	125—00
16371	369*)	სარეცხი მანქანა „ბათუმი“	90—00
16383	349*)	სარეცხი მანქანა „ბათუმი“	90—00
16417	245*)	ხელის საკერავი მანქანა	58—30
16418	1—500	5 მანეთი	—
16420	427*)	პიანინო	526—50
16422	261*)	300 მანეთი	—
16429	176*)	ტელევიზორი „რეკორდი“	210—00
16455	153*)	ავტომანქანა „მოსკვიჩი“	2511—25
16456	467*)	მაცივარი	200—00
16484	060*)	ფოტოაპარატი „კიევი-4“	125—00
16490	1—500	10 მანეთი	—
16508	350*)	სახვითი ხელოვნების ნაწარმოებნი	30—00
16511	1—500	3 მანეთი	—
16516	057*)	სახვითი ხელოვნების ნაწარმოებნი	30—00
16523	261*)	50 მანეთი	—
16524	198*)	ტელევიზორი „რეკორდი“	210—00
16545	185*)	მაჯის საათი მამაკაცისა „პობედა“	22—00
16547	274*)	მხატვრული და სხვა ლიტერატურის ბიბლიოთეკა	52—00
16550	147*)	ფოტოაპარატი „კიევი-4“	125—00
16557	486*)	25 მანეთი	—
16572	414*)	მაცივარი	200—00
16583	244*)	ფოტოაპარატი „კიევი-4“	125—00
16593	493*)	50 მანეთი	—
16606	331*)	ელექტროსამართებელი „ხარკოვი“	22—50
16625	332*)	ავტომანქანა „ვოლგა“	4313—25
16627	190*)	პიანინო	526—50
16628	395*)	25 მანეთი	—
16650	359*)	ტელევიზორი „რეკორდი“	210—00
16652	416*)	სახვითი ხელოვნების ნაწარმოებნი	30—00
16655	209*)	ტელევიზორი „რეკორდი“	210—00
16667	071*)	სარეცხი მანქანა „ბათუმი“	90—00
16677	349*)	სარეცხი მანქანა „ბათუმი“	90—00
16695	332*)	25 მანეთი	—
16696	009*)	300 მანეთი	—
16715	240*)	საწოლი ოთახის გარნიტური	800—00
16721	020*)	პიანინო	526—50
16732	098*)	ელექტროსამართებელი „ხარკოვი“	22—50
16736	424*)	25 მანეთი	—
16763	252*)	100 მანეთი	—
16768	401*)	მაცივარი	200—00
16781	304*)	მაცივარი	200—00
16783	027*)	პიანინო	526—50
16792	187*)	50 მანეთი	—
16806	292*)	მაცივარი	200—00
16809	432*)	500 მანეთი	—
16816	095*)	მაცივარი	200—00
16824	353*)	მაცივარი	200—00
16829	390*)	300 მანეთი	—
16840	315*)	ავტომანქანა „ზაპოროჟეცი“	1800—00
16868	175*)	ავტომანქანა „მოსკვიჩი“	2511—25
16872	272*)	ტელევიზორი „რეკორდი“	210—00
16877	138*)	სახვითი ხელოვნების ნაწარმოებნი	30—00
16894	393*)	სახვითი ხელოვნების ნაწარმოებნი	30—00
16900	019*)	პიანინო	526—50
16904	289*)	ხელის საკერავი მანქანა	58—30
16906	051*)	ხელის საკერავი მანქანა	58—30
16910	033*)	ტელევიზორი „რეკორდი“	210—00
16922	241*)	მაცივარი	200—00
16930	323*)	მაცივარი	200—00
16961	002*)	მაცივარი	200—00
16967	180*)	ავტომანქანა „ზაპოროჟეცი“	1800—00
16968	383*)	რადიოლა „ესტონია-2“	241—50
16983	258*)	100 მანეთი	—
16984	287*)	მტვერსასრუტი „ჩაიკა“	42—50
16996	384*)	ავტომანქანა „ვოლგა“	4313—25
17017	336*)	ფოტოაპარატი „კიევი-4“	125—00
17019	387*)	რადიოლა „ესტონია-2“	241-50
17041	335*)	სარეცხი მანქანა „ბათუმი“	90—00
17071	395*)	მაცივარი	200—00
17102	357*)	ავტომანქანა „ზაპოროჟეცი“	1800—00
17166	318*)	პიანინო	526—50
17172	441*)	სარეცხი მანქანა „ბათუმი“	90—00
17188	296*)	ტელევიზორი „რეკორდი“	210—00
17208	313*)	25 მანეთი	—
17226	110*)	ავტომანქანა „ზაპოროჟეცი“	1800—00
17234	215*)	50 მანეთი	—
17270	139*)	მაცივარი	200—00
17273	056*)	მაჯის საათი კაცისა „პობედა“	22—00
17300	384*)	50 მანეთი	—
17316	089*)	ტელევიზორი „რეკორდი“	210—00
17336	334*)	100 მანეთი	—
17338	208*)	საწოლი ოთახის გარნიტური	800—00
17355	1—500	5 მანეთი	—
17364	141*)	ფოტოაპარატი „კიევი-4“	125—00
17388	388*)	ავტომანქანა „მოსკვიჩი“	2511—25
17389	130*)	ავტომანქანა „ზაპოროჟეცი“	1800—00
17391	018*)	ტელევიზორი „რეკორდი“	210—00
17402	404*)	მხატვრული და სხვა ლიტერატურის ბიბლიოთეკა	52—00
17403	163*)	25 მანეთი	—
17425	465*)	ელექტროსამართებელი „ხარკოვი“	22—50
17439	103*)	პიანინო	526—50
17440	084*)	ელექტროსამართებელი „ხარკოვი“	22—50
17457	032*)	ფოტოაპარატი „კიევი-4“	125—00
17459	348*)	პიანინო	526—50
17467	056*)	მაჯის საათი მამაკაცისა „პობედა“	22—00
17469	498*)	300 მანეთი	—
17485	243*)	ელექტროსამართებელი „ხარკოვი“	22—50
17491	075*)	25 მანეთი	—
17501	187*)	ფოტოაპარატი „კიევი-4“	125—00
17512	154*)	ხელის საკერავი მანქანა	58—30
17549	417*)	ელექტროსამართებელი „ხარკოვი“	22—50
17579	1—500	10 მანეთი	—
17588	355*)	მაცივარი	200—00
17589	386*)	სარეცხი მანქანა „ბათუმი“	90—00
17613	189*)	ტელევიზორი „რეკორდი“	210—00
17616	167*)	სახვითი ხელოვნების ნაწარმოებნი	30—00
17629	059*)	მაცივარი	200—00
17647	064*)	500 მანეთი	—
17650	438*)	25 მანეთი	—
17651	266*)	ავტომანქანა „მოსკვიჩი“	2511—25
17660	091*)	სარეცხი მანქანა „ბათუმი“	90—00
17667	400*)	500 მანეთი	—
17681	398*)	25 მანეთი	—
17688	056*)	სახვითი ხელოვნების ნაწარმოებნი	30—00
17713	210*)	25 მანეთი	—
17727	096*)	მაცივარი	200—00
17743	405*)	ავტომანქანა „მოსკვიჩი“	2511—25
17759	286*)	მაცივარი	200—00
17761	494*)	მაცივარი	200—00
17769	112*)	პიანინო	526—50
17782	460*)	მაცივარი	200—00
17833	310*)	25 მანეთი	—
17848	111*)	ტელევიზორი „რეკორდი“	210—00
17854	485*)	ტელევიზორი „რეკორდი“	210—00
17860	133*)	პიანინო	526—50
17885	052*)	პიანინო	526—50
17895	162*)	ტელევიზორი „რეკორდი“	210—00
17913	200*)	ტელევიზორი „რეკორდი“	210—00
17919	356*)	50 მანეთი	—
17922	178*)	რადიოლა „ესტონია-2“	241—50
17924	317*)	ელექტროსამართებელი „ხარკოვი“	22—50
17956	298*)	რად